ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 5 (1406)

16-22 თებერვალი, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПОЛЕМИКА

მიშველეთ! — ყვირის მოძალადე...

ნოდარ გრიგალაშვილი

პარადოქსია კი, შველას, როგორც წესი, ყოველთვის ჩაგრული ითხოვს, მაგრამ პარადოქსების ქვეყანაში ასეც ხდება: გამოდგება მოედანზე ქვეყნის დამაქცევარი და მილეთის ხალხს შეყრის— მიშველეთ— მჩაგრავენ, უსამართლოდ მაკრიტიკებენო.

დავით კლდიაშვილის მოგონებებიდან ერთი კომიკური სიუჟეტი მახსენდება: მამაჩემმაო, — წერს დავითი, — სამსონ კლდიაშვილმა, ერთხელ, ქუთაისის „ბულვარში" თავისი გამამწარებელი რუსის ჩინოვნიკი დაინახა, წამოეწია, ფეხქვეშ გაიგდო და რუსის ბარაბანივით უბრახუნაო.

მოჩხუბრებისკენ პოლიციელები გამოქანებულან. სამსონს საშიშროება რომ უგრძვნია, მისგან დაბეგვილი რუსი

დასასრული მე-2 გვ.

ПРЕССА ШЕКАХИЛИ*

შევარდნაძე და ოპოზიცია

ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ერთი პარადოქსი ალბათ ისიცაა, რომ ედუარდ შევარდნაძე ყველა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად თავისი რეიტინგით მუდამ პირველ ადგილზეა. გაზეთი „რეზონანსი" ამის თაობაზე სამართლიანად შენიშნავდა: საქართველო არის ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ სჯერათ შიშველი მეფეებისო; მაგრამ შევარდნაძის ფენომენი შეუძლებელია აიხსნას მარტოოდენ „მამა და მარჩენალის" კომპლექსით, მითუმეტეს,როცა ამ „მარჩენალის" რადიოინტერვიუებს ხალხი უკვე „გლახის ნაამბობს" ეძახის. უბრალოდ, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ედუარდ შევარდნაძე „უმცირეს ბოროტებად" აღიქმება; იგი მიჩნეულია „სტაბილურობის გარანტად", რამდენადაც მაფიოზური ძალების მოსვლა ხელისუფლების სათავეში მაინცდამაინც არავის ეჭაშნიკება, ხოლო რაც შეეხება ოპოზიციას...

გაგრძელება მე-4 გვ.

* რუბრიკის სათაური აკაკი ბაქრაძის ერთერთი წერილის სახელდებიდანაა ნასესხები.

ალმა-ათაში თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე ვერ შეთანხმდნენ „დსთ"-ს საზღვრების საერთო დაცვის გეგმაზე. სამაგიეროდ, შეთანხმდნენ საჰაერო თავდაცვის (ПВО) საკითხების ერთობლივ გადაწყვეტაზე. უახლოეს მომავალში ამ მიზნით მოსალოდნელია რუსეთიდან სპეციალისტი წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში. სავარაუდოა, რომ საჰაერო თავდაცვისათვის მომზადდება ორი აეროდ-

გენერლებმა გადაწყვიტეს

რომი მარნეულსა და კოპიტნარში. რუსი სპეციალისტები თავიანთი ვიზიტის დროს შეისწავლიან ამ აეროდრომების მდგომარეობას და მათი სრულყოფაში მოყვანის საკითხებს. საერთაშორისო სტანდარტებით საჰაერო ტრასის ყოველი კილომეტრი შესაბამისი ნიხრით იბეგრება და საჰაერო სივრცის გაკონტროლების საშუალება, რომელიც დღეს საქართველოს არ გააჩნია, შესაძლოა, ერთ-ერთი „გამამართლებელი" საბუთია რუსეთ-საქართველოს მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის ერთობლივი კონტროლისა.

მასალა მომზადდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის საფუძველზე

რესპუბლიკელები რუსთავში

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები ბატონები ვახტანგ ძაბირაძე, ვახტანგ ხმალაძე და თემურ ვაშაყმაძე რუსთავის რეგიონალური ორგანიზაციის შტაბ-ბინაში შეხვდნენ ქალაქის პედაგოგებს.

პედაგოგებსა და პარტიის წარმომადგენლებს შორის შეხვედრამ ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

პედაგოგებმა ისაუბრეს თავიანთ სატკივარზე.

ითქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იანვრის არდადეგები იძულებითი ხასიათის იყო, მასწავლებლებს იანვრის ისედაც მცირერიცხოვან ხელფასს არ აძლევენ.

მეორეს მხრივ, სტუმრებმა მოისმინეს საკმაოდ არაორდინალური ინფორმაცია იმის შესახებ,რომ რუსთავის მე-18 საშუალო სკოლამ იძულებითი არდადეგების პერიოდში არ შეწყვიტა სწავლა, ვინაიდან დირექციამ წინასწარ იზრუნა სკოლის შენობაში სათანადო პირობების შესაქმნელად, მაგრამ...

მაგრამ რუსთავის ქალაქის განათლების მესვეურებმა კატეგორიულად მოსთხოვეს სკოლის ხელმძღვანელობას, შეეწყვიტათ სწავლა... კომენტარი, ვფიქრობთ, ზედმეტია.

შეხვედრაზე გამოითქვა აზრი, შექმნილიყო გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერი ჯგუფი. პედაგოგებმა გამოთქვეს სურვილი რესპუბლიკელებთან დიდ აუდიტორიაში მორიგი შეხვედრისა, სადაც ქალაქის პედაგოგიურ საზოგადოებასთან ერთად იქნებიან მშობლებიც. შეხვედრები კვლავ გაგრძელდება.

ნანა გოდერძიშვილი

სიშორპრიზი

აფხაზეთის დეპუტაცია პარლამენტართა შორის აგროვებს ხელმოწერებს, რათა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს პარლამენტარი მურმან ომანიძე.

აპირებენ, ამ წინადადებით წარსდგნენ სახელმწიფოს მეთაურის წინაშე.

ბედი კაცისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშველეთ! — ყვირის მოძალადე...

ნოდარ გრიგალაშვილი

პირველი გვერდიდან

ზემოდან შემოუგდია, თავად გულალმა დაწოლილა და მოურთავს ყვირილი: მიშველეთ, მკლავენო!..

პოლიციელებს „მოძალადე“ ჩინოვნიკი წაუბრძანებიათ ვირის აბანოსაკენ...

ამ კონკრეტული სიუჟეტის წარმოდგენისას კაცს ღიმილი მოგადგება, მაგრამ ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში ჟურნალისტებისაგან „დაჩაგრული“ მოძალადენი რომ აყვირდებიან ხოლმე, სასაცილოდ სრულიად აღარ არის საქმე.

ასე მაგალითად, კაცი სახელმწიფო ხაზინიდან მინიმალური პროცენტით დიდძალ სესხს გაიტანს, თითქმის მთელი წელი საზღვარგარეთ ინავარდებს, ამ სესხს უკან დაიბრუნებს, მაგრამ კატასტროფული ინფლაციის პირობებში, ხელის გაუნძრევლად, იმდენი დოლარი რჩება ჯიბეში, საშვილიშვილოდ რომ ეყოფა. რჩება და ღმერთმა მოახმაროს. სხვათაგან განსხვავებით, ყველაფერი არ ჩაუჯიბავს და სახელმწიფოს თავისი წილი უკან ხომ დაუბრუნა, იფიქრებს მკითხველი და მართალიც იქნება ერთი შეხედვით.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის ასე. აბა დაუკვირდით, გუშინ სახელმწიფომ მავანს ასესხა, ვთქვათ, 3 მილიონი დოლარის შესაბამისი კურსის კუპონი. მოქალაქემ დღეს ეს კუპონები უკანვე დააბრუნა, მაგრამ თავის ნამატ-პროცენტიანად იგი არის არა 3 მილიონი დოლარის ეკვივალენტი, არამედ 1 ან 2 მილიონისა. მსესხებელმა მოიგო, მაგრამ ვინ წააგო?

წააგო სახელმწიფომ, ანუ მე, შენ, და საწყალმა ოლიფანტემ...

გაზეთი „საქართველო“ იბრძოდა ამ მანკიერების წინააღმდეგ. მას ზედ დაერთო მეორე მანკიერი მოვლენა. საქართველოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა დაიწყეს. ვიღაც აფერისტები საზღვარგარეთ სახელს უტეხდნენ ჩვენს ქვეყანას უცხოეთის სოლიდურ საფინანსო წრეებში.

რამდენიმე ემისარი ამგვარი ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრეთაგან, საზღვარგარეთ დაუკავებიათ კიდეც.

„საქართველოს“ წინა ნომერში ახუნდებზე და ახუნდიზმის შესახებ ვწერდი. ამდაგვარი სესხებით დვალიშვილის პრეზიდენტობის დროში ბევრი გაახუნდდა. ბევრი წაილეს და ცოტა დაუბრუნეს, ცოტაც საქმეს მოახმარეს, გნებავთ საქველმოქმედოს. ერთი სიტყვით, სახელიც იშოვეს და სახრავიც. როცა ამ უბედურების წინააღმდეგ იბრძვი, თუ მადლობას არ გეტყვიან, ქვეყნის დამაქცევრად მაინც არ უნდა გამოგიყვანონ. მიშველეთო, ჯერ იყვირებს მოძალადე, მერე აქეთ მოგდგება და საშველად თავად გაგიხდის საკუთარ პერსონას.

შარშან გაზეთ „საქართველოს“ მე-19 ნომერში ერთ-ერთ ფინანსურ მაქინაციაზე საუბრისას წერილში „კიდევ ერთი სკანდალი ფინანსურ სფეროში“ ფირმა „კაჭტუსის“ პრეზიდენტის დიდიმ სტურუას გვარი გაკრთა. გაკრთა მეთქი ვამბობ, რადგან აღნიშნული წერილი მასზე და მის გამო კი არ დაუწერია ავტორს, არამედ ზემოთქმული ზოგადი ტენდენციის სამხილებლად.

ჩამობრძანდა ევროპიდან ბატონი დიდიმი. დასხდნენ იგი და ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე და თავიანთი ჭუკჭუკი დაიფიქსირეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ეს არ ეკადრება სერიოზული გაზეთის სერიოზულ რედაქტორსო — ჩემი მისამართით დაასკვნეს.

უკადრებელი რამ თავად იკადრეს, ამაზე, იმავე „საქართველოს რესპუბლიკამ“ მალე გამოაქვეყნა მინისტრთა კაბინეტის მრჩევლის ქ-ნ ნინო მირიანაშვილის წერილი.

ნ. მირიანაშვილმა ისეთი პასუხი გასცა მოჭუკჭუკე წყვილს, რომ გაზეთში მათი საპასუხო ბასი მეტად აღარ შემდგარა, ამიტომ ჩემი პასუხი საჭიროდ აღარ ჩავთვალე, არც ამჯერად გავიხსენებდი ამ მოძველებულ ამბავს, რომ არა ერთი გარემოება. ამ დღეებში ჩემთვის უცნობი ქ-ნი ნინო მირიანაშვილი მინისტრთა კაბინეტის მრჩევლის პოსტიდან გაუნთავისუფლებიათ, შტატების შემცირებაში „მოუტნევიათ“...

რა შუაშია სტურუასთან პოლემიკა ამ ფაქტთან? საქმე იმაში გახლავთ,რომ ბატონი დიდიმი სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი გახლავთ...

- პირველი, რაც ქორიძესთან ჭუკჭუკის დროს მან დემაგოგიურად დაიფიქსირა, გახლდათ შემდეგი — მე კი არა, ჩემი სახით სახელმწიფოს მეთაურს ებრძვიანო.

გახსოვთ მაიაკოვსკი? ლენინი და პარტია ტყუპნი არიანო, რომ წერდა. გააკრიტიკებდი ლენინს — პარტიის წინაშე აგებდი პასუხს, მისდგებოდი პარტიას, მოგდგებოდა ლენინი.

ახლა ის უნდა ვიკითხო, რომელი ტყუპისცალია ედუარდ შევარდნაძისა დიდიმ სტურუა, მის მიმართ გამოთქმულ საყვედურებს რომ სახელმწიფოს მეთაურისაკენ უცვლის მიმართულებას?

ასეა თუ ისე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქალბატონი მირიანაშვილი შტატების შემცირებას კი არა, პოლიტიკურ „არასაიმედობას“ შეეწირა. ცხადია, ეს ვარაუდი შეიძლება არც იყოს მართალი, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის მრჩევლის ზემოთაღნიშნული მტკიცება, მე კი არა, ჩემი სახით მეთაურს ებრძვიანო, ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, ანუ ასეთი მრჩევლები და მათთან მოჭუკჭუკე ჟურნალისტები წინდაუხედავი, თავის დასაცავად გამიზნული დემაგოგიით, ხშირად ქვეყნის მეთაურს აგდებენ უხერხულ დღეში...

საქართველოს ზღვისპირეთი

ადგილი აქვს ძალადობის ფაქტებს

გალის რაიონში, კონფლიქტის ზონაში გაეროს წარმომადგენელთა განცხადებით, რუსეთის სამშვიდობო ძალები ხელს არ უშლიან მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებას, სახლების გადაწვასა და მკვლელობებს.

როგორც საზღვარგარეთელი კორესპონდენტები იტყობინებიან, გალის რაიონის სოფელ შუშელიეთში ჩატარდა სადამსჯელო ოპერაციები ქართული მოსახლეობის მიმართ, მოკლულია 2 ქართველი. ა.წ. იანვარში გალის რაიონიდან ზუგდიდის რაიონში 3000 კაცამდე გაიხიზნა.

გაეროს მონაცემებით, უმრავლეს შემთხვევაში ძალადობის ფაქტებს ადგილი აქვს აფხაზ ბოევიკთა მხრიდან.

ჩეჩნეთი

«ჩვენს ხალხს სურს ასე»

ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იუსეფმა ამერიკაში ვიზიტისას განაცხადა, რომ ერთსაათიანი შეხვედრა ჰქონდა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ორ ოფიციალურ პირთან, რომელთაც განუმარტა პრეზიდენტ დუდაევის თვალთახედვა ჩეჩნეთში შექმნილ სიტუაციაზე. მინისტრმა მკაფიოდ განუცხადა აშშ წარმომადგენლებს,რომ ჩეჩნეთი არასოდეს იტყვის უარს დამოუკიდებლობაზე და არ დათანხმდება ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს, რუსეთის შემადგენლობაში. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა იუსეფს განუცხადეს, რომ პრეზიდენტ ქლინთონს ჩეჩნეთის კონფლიქტი მიაჩნია რუსეთის შინაურ საქმედ, რაზეც იუსეფმა უპასუხა: „როდესაც თქვენ გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა, არავის უთქვამს თქვენთვის, რომ წარმოადგენთ ინგლისის შინაურ საქმეს. ეს არის ჩვენი უფლება და ჩვენს ხალხს სურს ასე“.

რა ღირს ომი ჩეჩნეთში?

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები მოსკოვში ვიზიტისას დინტერესდნენ, თუ რა ღირს ომი ჩეჩნეთში და როგორ აისახება ის რუსეთის ბიუჯეტის დეფიციტზე. პრემიერ-მინისტრმა ჩერნომირდინმა დაასახელა მიახლოებითი ციფრი 1,5 მილიარდი დოლარი, მაგრამ დამოუკიდებელ ექსპერტებს ბევრად დიდი ციფრი მოჰყავთ — 6 მილიარდი დოლარი.

რესპუბლიკური პრესიდან

ორი რუსეთის ერთი თვალთახედვა

უკვე ჯარგა სანია გაცვეთილ მანალომად ქლეარს ფრაზა, რომ „საქართველოსთან მიმართებაში „რეაქციული“ თუ „დემოკრატიული“ რუსეთის პოზიცია – ფაქტიურად ერთნაირია: მართლაც, ვისთვის ეს ნამდვილად მანალური ჭეშმარიტებაა, ვისთვის კიდევ ასევე მანალური „რუსოფობიისა“ და „ფაშისტური ულტრარადიკალიზმის“ გამოვლინება. ამგვარი დაპირისპირება განსაკუთრებით იჩენს თავს, როცა საქმე ეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ქვემოთ ვაქვეყნებთ ორ პუბლიკაციას აფხაზეთის თემაზე. ერთი მათგანი დაიბეჭდა ჯობუნსტურ „პრავდაში“, მეორე დემოკრატიული მიმართულების „კომსომოლსკაია პრავდაში“. და მკითხველს შეუძლია თავად განსაჯოს ამ საკითხში რუს დემოკრატებსა და რეაქციონერებს შორის აზრთა სხვაობასხვაობაა თუ მიუხედავად იდეოლოგიური ეთანხმოებისა, „ორივე რუსეთის“ თვალსაზრისი მაინც ერთი და იგივეა.

საშიშია კი დასვენება შავ ზღვაზე?

პირდაპირ შავი ზღვის პირას დგას ნამდვილი ათასართულიანი სასახლე... აქ მხოლოდ რამდენიმე მდუმარე ზანგი დახეტიალობს. პარტოლეკებით და რაციებით აღჭურვილი, აგრეთვე თითო-ოროლა მოლუშული, შავგვრემანი წვეროსანი „კალაშნიკოვებით“ ხელში...

ეს სასახლე— ბიჭვინთის მახლობლად, 1990 წელს აშენებული სსრკ სუკ-ის „ხუთვარსკვლავიანი სანატორიუმია — „Самшитовая роща“, შავი ზღვის ნაპირი აფხაზეთის რესპუბლიკაა; ზანგები — გაეროს სამშვიდობო მისიის ჯარისკაცები; წვეროსნები კი — ბიჭები აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებიდან.

... მე აქ კარგად ვარ, — ამბობს გაეროს ჯარების უშიშროების ოფიცერი ბობა-დამი ჩადიდან — არავინ თავს არ გვესხმის, ირგვლივ სრული სიმშვიდეა და სიწყნარე. აი, როცა თქვენი მოსკოველი უფროსობა (მიმართავს რუს ჟურნალისტებს — მ.ჩ.) რუსეთთან საზღვარს გახსნის, მაშინ ხომ საერთოდ დიდებული იქნება: სოჭშიაც ჩავალ-ხოლმე, გოგონებს მოვინახულებ!.. რაც შეეხება იმას,რომ აქ თითქოს ისვრიან, ეს აბსოლუტური სისულელე და დეზინფორმაციაა.

(შემდეგ კორესპონდენტები განაგრძობენ — მ.ჩ.)

ჩვენ მოვახდინეთ კავკასიონის სასაზღვრო ზოლის შემოფრენა „სოჩისპეცავიის“ გასასეირნებელი ვერტმფრენით... ათასი მეტრის სიმაღლიდან დაძაბულად ვაკვირდებოდით აფხაზეთის საზღვრის გაყოლებაზე დათოვლილ ტყიან ფერდობებს, და, ჩვენდა გასაკვირად, ვერ აღმოვაჩინეთ ვერცერთი, თუნდაც ყველაზე-უწყინარი „ბოევიკი“... ასე რომ, ფედერაციის საბჭოს სპიკერის, ვლადიმირ შუმეიკოს სიტყვები იმის თაობაზე, თითქოს აფხაზეთი გაძეძგილია „ბოევიკთა“ რაზმებით, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებული აღმოჩნდა.

დიმიტრი გაგიჩი
ვიკტორ კოლესნიკი

გაზ.: „კომსომოლსკაია პრავდა“ 3.2.1995

*ქვეყნდება შემოკლებით

ვის დაკვეთას ასრულებს შუმეიკო

ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვ. შუმეიკომ მიმართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ. ელცინს წინადადებით, გამოიყვანონ რუსული სამშვიდობო კონტინგენტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან. (ამის თაობაზე გაზეთი „პრავდა“ — გვთავაზობს იგორ ლენსკის ფრიად საყურადღებო სტატიას)

მაინც კონკრეტულად რა იგულისხმება შუმეიკოს მაღალფარდოვან განცხადებაში? როგორც ჟურნალისტებთან მისი ტელეინტერვიუდან ჩანს, ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე აღშფოთებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე „ბოევიკთა“ ორი ბაზის — მდ. ბზიფის ზემოწელში და კოდორის ხეობაში —შექმნით, შემდგომ გაწვრთნილი რაზმების ჩეჩნეთში გადასროლის მიზნით. ამის შესახებ ახსნა-განმარტება ვთხოვეთ აფხაზეთის ხელმძღვანელობას.

— შუმეიკოს მიერ ანონიმური წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს — გვითხრა აფხაზეთის პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ანრი ჯერგენიამ. ბზიფის ზემოწელი (რიწის ტბის ზონა) ახლა ორ-სამი მეტრის სიმაღლის თოვლითაა დაფარული და ვერანაირი ბაზის შექმნა იქ ვერ მოხერხდებოდა. რაც შეეხება კოდორის ხეობას — მას დღემდე ვერ აკონტროლებს აფხაზეთის ხელისუფლება. იქ იმყოფება სვანი მოსახლეობა და რუსეთის სამშვიდობო ძალები. და ბოლოს, ყველაზე მთავარი —

დასასრული მე-8 გვ.

მეორე გვერდიდან

ასეთი ბაზების შექმნა ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენს სტრატეგიულ ინტერესებს, რომელიც თქვენთვის კარგადაა ცნობილი პრეზიდენტ არძინბას გამოსვლებიდან — ესაა რუსეთთან კავშირი.

— კი, მაგრამ ნომ ჩატარდა ჩეჩნეთის მხარდასაჭერად მიტინგი სოხუმის ცენტრალურ მოედანზე?

— სამწუხაროდ მიტინგი ჩატარდა პრეზიდენტ არძინბას ნებართვის გარეშე, თანაც მაშინ, როცა იგი მოსკოვში იმყოფებოდა. მიღებულია ზომები, რათა მსგავსი აქციები აღარ განმეორდეს.

გუშინ, სოჩუმში გამართულ პრეს-კონფერენციაზე რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვასილი იაკუშევმა განაცხადა: „ჩვენ არ გაგვაჩნია ცნობები აფხაზეთის ტერიტორიაზე „პოევიკთა“ მომზადებასა და ჩეჩნეთში შეგზავნის თაობაზე“. გაეროს მისიის მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა ჯონ ვიდეგარმა კი დაუმატა: ჩვენ არ შეგვიმჩნევია ჩეჩენ „პოევიკთა“ მოსამზადებელი ბაზები არც კოდორში, და არც აფხაზეთის სხვა რაიონებში“.

„აბსოლუტურად უსაფუძვლო“ უწოდა შუმეიკოს განცხადებას აფხაზეთის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ. მანვე შესთავაზა რუსეთის წარმომადგენლებს გასცნობოდნენ სიტუაციას რესპუბლიკის ნებისმიერ წერტილში.

ა. ჭერგენიას აზრით, დეზინფორმაცია, რომელსაც ნებსით თუ უნებლიედ იყენებს შუმეიკო, საქართველოდან მოდის, სადაც აშკარად დაინტერესებული არიან აფხაზეთსა და რუსეთს შორის არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობების გაფუჭებით. სხვათა შორის, პრესა რომ გადავთვალიერე, ამის საინტერესო მტკიცებაც აღმოვაჩინე.

„ნეზავისიმაია გაზეტა“ (№241. 17.12.1994) გვაცნობებს,რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ფრონტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც მოსახლეობასა და ხელისუფლებას მოუწოდა „გამოიყენონ უაღრესად ხელსაყრელი მომენტი: წინააღმდეგ შემთხვევაში საბოლოოდ დავკარგავთ აფხაზეთს“. იქვე ნაზგასმულია, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ მცდარი პოზიცია დაიკავა, გაჩაღა რა პოლიტიკური კამპანია აფხაზეთის კრიზისის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ... ამგვარმა კურსმა საქართველოში მოიყვანა რუსეთის სამხედრო ძალები... სამშვიდობო კლოუნადა კრახით დასრულდა“... ფრონტი მოუწოდებს, რათა „ნებისმიერი საშუალებით აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა“.

აი, ვისი ინტერესების ლობირებას ახდენს ბ-ნი შუმეიკო!

იგორ ლენსკი

გაზ. „პრავდა“ 23.12.94.

ფრაგმენტები სახელმწიფოს მეთაურის ინტერვიუდან

„აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციამ, რა სახითაც იგი აქამდე ხორციელდებოდა, არ გაამართლა“.

„ახლა, ჩეჩნეთის ამბების შემდეგ, რაც რუსეთის საზოგადოებრიობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს მორალურ-პოლიტიკური უფლება რუსეთისა განახორციელოს საშუამავლო სამშვიდობო ფუნქციები“.

„აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წშენდასაც კი, რომელიც დიდწილად რუსეთის მოქალაქეების ხელით ჩატარდა, სამართალდაცვითი გამოძახილი არ მიუღია“.

„კაცობრიობის წინაშე დანაშაული დაფიქსირებულია ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ბუდაპეშტში შეხვედრის სპეციალურ რეზოლუციაში, რის თაობაზეც, რამდენადაც მე ვიცი, რუსეთის საზოგადოებრიობა არაა ინფორმირებული“.

ფრაგმენტები ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუდან. გაზეთი „იზვესტია“ 1995 წ. 2 თებერვალი

როდის „დაბრუნდებიან“ კომუნისტები?

საინტერესო დროა ამჟამად.

დასამახსოვრებელი.

ხომ გაგიგონიათ,დრონი მეფობენ და არა შეფენიო! თუმცა, ჩვენმა დრომ ისე არია ყველაფერი, ქურდი აქეთ აბრალებს სხვას ქურდობას, ბანდიტი სხვაზე ამბობს, ყაჩაღიაო, მექრთამე დილიდან დაღამებამდე გაჰყვირის — ძირს მექრთამეობაო, და ა.შ... თან ეს ყოველივე ისეთი „სოციალური ფონის“ თანხლებით ხდება, როცა არც შუქია, არც გაზი, ცხელ წყალს ხომ დიდი ხანია აღარც ვნატრულობთ. ფასები და შემოსავლები კი ისეა დაცილებული ერთმანეთს, როგორც მიწა და ცა...

ამას წინათ ერთი კაცი ტრანსპორტში იძახდა — ისეთი გაჭირვება დადგა, იმას ვნატრობ, კომუნისტები დაბრუნდნენო.

მიამიტობაც ამას ჰქვია.

ზუსტად კომუნისტები რომ „დაბრუნდნენ“, უფრო ზუსტად, არსადაც რომ არ წასულან — იმიტომ აღმოვჩნდით ამ დღეში!...

მ.ჩ.

წკიპურტები გინა თუ მუჯლუგუნები

ფაქტი, ვერსია, პრობლემა

ფაქტად მოგვითხრობენ შემდეგს: რუსეთის პარლამენტართა ჯგუფმა, რომელმაც აფხაზეთის ლტოლვილებთან და საქართველოს პარლამენტარებთან საუბარი ჩაატარა და რუსეთის მოიმედეებს კიდევ ერთხელ დასწყვიტა გული თავისი გულგრილობით ჩვენი სისხლისა და ცრემლისადმი, თურმე გორსაც აკითხა. ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში მისულებს თურმე გრძნობა მოერიათ და გულამოჯდარებმა შეჰლაღადეს:

Вставай, батька. Ти нужен России!

ამ ფაქტს, რომლის შემოწმების საშუალებაც, ბუნებრივია, არ გვაქვს, ხალხის ფანტაზიამ ზედ ჭორიც დაურთო. ეს ლადადი რომ გაისმა, წამოდგა დეპუტატი ლარიბაშვილი და სრულყოფილი რუსულით მჭერმეტყველად უპასუხა: „Я здесь“.

ფაქტმა და ჭორმა პრობლემაც მოიტანა: სტალინის მონაცვლეობისთვის შექმნა დეპუტატი ლარიბაშვილი (კასიბოვი, თუ არ ვცდებით) დედა ბუნებამ თუ კამოს (პეტროსიანის) მონაცვლეობისათვის?

გივი ყურაშვილი

ისტორიის გაკვეთილები

საქართველოს ინსტრუქტორები

როდესაც დამონებული ერი თავს გაინთავისუფლებდა ხოლმე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას შეუდგებოდა, ის ყოველთვის იმ სახელმწიფოს მიმართავდა პოლიტიკური, ფინანსიური და სამხედრო დახმარებისათვის, რომლის პირდაპირ ინტერესებს შეადგენდა ამ ახალი ეროვნული. სახელმწიფოს დაარსება და გამაგრება.

და ის კი ჯერ არავის გაუგონია, რომ განთავისუფლებულ ერს ინსტრუქტორები ძველი მებატონე სახელმწიფოებისაგან ესესხებინოს, იმ სახელმწიფოსაგან, რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებულია, რომ ძალით თუ ხერხით კიდევ ერთხელ დაამსხვრიოს ურჩი ერის სახელმწიფო და ხელახლათ გახადოს ის თავის ქვეშევრდომათ.

მოვიგონოთ ბულგარეთი, ის ბულგარეთი, რომელიც ჩვენს პირდაპირ არის შავი ზღვის ნაპირზე და რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს ბალკანეთზე, როგორც აქვს კავკასიაში საქართველოს.

ბულგარეთს რომ ძველი მებატონე ოსმალეთისათვის მიემართა სახელმწიფო ინსტრუქტორებისათვის,რა ხეირი დაეყრებოდა მის. თავს?

ჩვენს ქვეყანაში კი, რომელსაც სოციალისტები მმართავენ, ყოველი სახელმწიფო საქმე ისე კეთდება, ვითომც ისტორიის ჟინი სჭირდეთ: საერთაშორისო სამართალი— პოლიტიკური ეკონომია, სტრატეგია, ყველაფერ ამას ისეთს უნახავ ყაიდაზე აწყობენ, თითქოს ახალ საქართველოში ისტორიული კანონები უკუღმა მოქმედებდეს და მთელი ქვეყნის სახელმწიფოებრივი გამოცდილება ჩვენთვის მეტი ბარგი იყოს.

ასე რომ არ იყოს, განა აქამდის არ უნდა ეღიარებია ჩვენს მთავრობას, რომ შეუძლებელია საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოს აშენება ყოფილ რუსეთის „ჩინოვნიკების“ ინსტრუქტორობით, იმ რუსების, რომელთაც არც ევროპული ცოდნა აქვთ და ისე არიან გაბრაზებული „ერთმორწმუნე ივერიის ღალატით“, რომ არ იციან სად და როგორ გაგვითხარონ სამარე?

განა აქამდის არ უნდა ეთქვათ და არ უნდა აესრულებინათ ჩვენ სოციალისტებს ის, რომ თუ საქართველო სახელმწიფოს სამხედრო, ეკონომიკური და კულტურულ ცხოვრების მოსაწყობად დახმარებასა და ინსტრუქტორებს საჭიროებს, — ეს ინსტრუქტორები ცენტრალ კავშირის სახელმწიფოებიდან არის მოსაყვანი და განსაკუთრებით გერმანიიდან?

ამიტომ ვამბობდით ეროვნულ საბჭოში მთავრობის დეკლარაციის პასუხად, ივნისის 15-ს სხდომაზე: „უკანასკნელი ვადა გადის, რაც დღეს შესაძლოა, ის ხვალ დიდი რისკით იქნება შესაძლო.

დღეს დიდი გერმანიის იმპერია მეგობრულად გვეხმარება, როგორც აქ, საქართველოში, ისე იქ, სტამბოლში.

უნდა განვამტკიცოთ, ჩამოვაყალიბოთ ეს განწყობილება, ვაქციოთ იგი მტკიცე საერთაშორისო კავშირად.

გამოვიყენოთ დაუყოვნებლივ გერმანიის სახელმწიფო, საფინანსო და სამხედრო დახმარება, შევქმნათ საჩქაროთ ნამდვილი ეროვნული რეგულიარული ჯარი, რომელსაც დაეყრდნობა ნამდვილი, რეგულიარული მთავრობაო...“

მას უკან მეორე თვე გადის და მხოლოდ დღეს სწყდება ეს საკითხი, ისე როგორც საჭირო... სოციალ-დემოკრატების ჩვეულება ხომ ასეთია: ერთი თვის ან მეტის დაგვიანებით აკეთებენ რასაც დროზედ მოითხოვს ნაციონალ-დემოკრატიული პროგრამა; პირველად სამართლის გაგონების მაგიერ, სოც. დემოკრატია ჰკივის ორსულივით და არ იკარებს ჩვენს „კონტრრევოლუციურ“ და „მოღალატურ“ რეცეპტებს, მერმე გადის დრო, საქმე ფუჭდება და ჩვენი ორსული სოციალ-დემოკრატია დაგვიანებით იღებს ჩვენ მიერ გამოწერილ წამლებს, და ვისი ბრალია, თუ ამ დაგვიანების გამო ტერაპევტიკის გარდა ქირურგიული ოპერაციის გადატანაც უხდება.

აი ახლაც, სოციალ-დემოკრატია, რომელმაც ამ საქმეშიც ინიციატივა ხელიდან გაუშვა, იმის მაგიერ რომ მან იზრუნოს, ისედაც დაგვიანებული საქმე მთავრობამ ჩვეულებრივი შეცდომებით და ჩვეულებრივად გლახად არ გააკეთოს, გამოსდგომია მეორე კურდღელს, და ცდილობს მთელს საქართველოს, განსაკუთრებით არა სოციალისტურ, პატრიოტულ საქართველოს გადააბრალოს მმართველი პარტიების მიერ ჩადენილი ცოდვები: ისე გამოდის, თითქოს ინსტრუქტორების საჭიროება იმის ბრალი იყოს,რომ სოციალისტურმა მთავრობამ ვერ მონახა მცოდნე ძალები შინ, თავის ერში... ლამის მთელი საქართველოს ინტელიგენცია კოტორათ გამოაცხადონ სახელმწიფო საქმიანობაში.

მართალია, ვერვინ იტყვის, რომ მარტო ეროვნული ძალებით შეგვეძლო სახელმწიფოს აშენება... ეს ხომ არსად ყოფილა ქვეყნად, მაგრამ ვერც იმას იტყვის ვინმე,რომ საქართველოს სოციალისტურ მთავრობას ისე ამოეწუროს მთელი საქართველოს ინტელიგენტური ცოდნა და გამოცდა, რომ სოციალისტურ ინტელიგენციის სახელმწიფო სტაჟი და მუდმივი „პერეგზამენოვკები“ მთელს საქართველოს მოახვიოს თავს.

დღემდის საქართველოს მართვა-გამგეობა მხოლოდ სოციალისტური ბიუროკრატიის ხელშია, და ყოველი სოციალისტი მინისტრი თავისი პარტიულ ამხანაგებით ავსებს შტატებს, როგორც ცენტრალურ, ისე პროვინციულ უწყებებში.

ამიტომაც იყო და არის,რომ ვერ ხერხდება სახელმწიფო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია — გაქართულება, ქართული ძალები არა კმარისო, — აცხადებენ უწყებათა მმართველები და რუსებს, სომხებს, რუსეთელ ებრაელებს აბარებენ თავს, რადგან მოსოციალისტო უცხოელებს უფრო ენდობიან, ვიდრე სხვა პარტიულ რწმენის ქართველებს.

ამიერიდან მაინც უნდა მოეღოს ბოლო ამ პარტიულ ბიუროკრატიზმს. თუ ცენტრალურ სახელმწიფოთა და განსაკუთრებით გერმანიის ინსტრუქტორებს ვიწვევთ მრჩევლებათ სამინისტროებში, ეს სამინისტროები უნდა დაუყოვნებლივ იქმნან განწმენდილი საქართველოსადმი მტრულად განწყობილ რუსის და სხვაგვარ მოხელეებისაგან, თორემ გერმანელ და ქართულ ძალების კონტაქტი და ჰარმონიული, ხელშეწყობილი თანამშრომლობა ნაციონალურ ჯარის, ფინანსების, და საერთოდ, ეკონომიკის შექმნაში შეუძლებელი იქნება (ყველაზე უფრო უნდა ითქვას ეს გაფრთხილება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, სადაც ყველაზედ უფრო მეტია ასეთი რუსეთელი „ნეშთები“).

კიდევ ერთი ვადა გადის... თუ დღეიდან მაინც მთავრობა დაადგა მტკიცე გზას და როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა დაუმორჩილა ნაციონალურ სახელმწიფოს ინტერესს და საბოლოოდ გაიმიჯნა როგორც შინ ისე გარედ, იმ ძალებისაგან, რომელნიც პირდაპირ წინააღმდეგნი არიან საქართველოს სახელმწიფოს არსებობისა, თუ მან მოჰკიდა დაუყოვნებლივ ხელი რეგულიარული ჯარის მოწყობას გერმანიის სამხედრო ინსტრუქტორების დახმარებით, მაშინ საქართველოს სახელმწიფოს არსებობა საბოლოოდ უზრუნველყოფილი იქნება, მაშინ საქართველო შესძლებს გაუმკლავდეს თავის საზღვრების და სუვერენიტეტის მტრებს.

და თუ მთავრობა დაუყოვნებლივ გააგზავნის ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდობას გერმანიისა და სხვა ევროპიულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ საქმიანობის შესასწავლად, მაშინ მოკლე ხანში ყოველ დარგში ჩვენი საკუთარი ინსტრუქტორებიც გვეყოლება.

ჩვენ გვწამს, რომ ევროპის სახელმწიფოებიდან ინსტრუქტორების მოწვევას ქართველი ერი ისევე მოინელებს და ისევე მოიხდენს, როგორც გადაიტანეს ეს პროცესი ისეთმა ჯანსაღმა ერებმა, როგორიც არიან ბულგარელები და იაპონელები.

გვწამს ეს იმიტომ, რომ საქართველო მიჰყავთ ამ გზით თვით საერთაშორისო ობიექტურ პირობებს, იმ პირობებს,რომელიც არის ნაკარნახევი გერმანიის იმპერიის პოლიტიკით აზიაში.

და გერმანიისა და საქართველოს ობიექტურ ინტერესთა თანხმობის მშვენიერი სიმბოლო არის ის, რომ გერმანიის ეროვნული დროშა იმავე ფერებით არის შეღებილი, როგორც ქართული ეროვნული დროშა.

გრიგოლ ვეშაპელი

გაზ. „საქართველო“, 1918, 28 მკათათვის, №150

მკვახე შეკახილი

შევარდნაძე და ოპოზიცია

დავით ზურაბიშვილი

დღეს ოპოზიციაშია ეროვნული მოძრაობიდან გამოსული ყველა პოლიტიკური ძალა „ გაწითლებული მწვანეების“ გამოკლებით, და თუ გავითვალისწინებთ ხელისუფლებაში ძველი ნომენკლატურული კადრების მომრავლებასაც, უნებლიედ იქმნება ახალი წარსულის ილუზია — „კომუნისტური რეჟიმი“ და „პატრიოტული სულისკვეთების დისიდენტები“, მაგრამ ასეთი ტიპის დაპირისპირება კარგა ხანა წარსულს ჩაბარდა. რაც იყო, აღარ განმეორდება, რადგან შეუძლებელია ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა. ოპოზიციას უკვე აღარ გააჩნია ის უდიდესი მორალური უპირატესობა, რასაც საოცრად გასაგები და მიმზიდველი ლოზუნგი — „საქართველოს დამოუკიდებლობა იძლეოდა. გადატანილი კატაკლიზმების შემდეგ ნიჰილისტური განწყობა მძლავრობს: „მიტინგიტის“ ეპოქა დასრულდა, „;ხალხი დაღალა“, რიგითი ქართველი ახლა ძირითადად იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გაიტანოს თავი უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის პირობებში. დღეს, საქართველოში ყველაზე მეტად ელემენტარული წესრიგი ენატრებათ. ხელისუფლების უმთავრეს ნაკლად მისი რეტროგრადობა, დამოუკიდებლობის იდეალისადმი გულგრილობა, ან თუნდაც აფხაზეთის ომში დამარცხება კი არ მიიჩნევა, არამედ ის, რომ მან ვერ შეძლო მოსახლეობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა, „ყაჩაღობის“ ალაგმვა და წესრიგის დამყარება. ხალხს არ აინტერესებს ვისი გეოსტრატეგიული გავლენის“ სფეროში იქნება საქართველო — რუსეთის, ამერიკისა თუ მაგადასკარის: მთავარია ნორმალური ცხოვრების საშუალება მიეცეს. ასეთია რეალობა, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე გაცილებით უფრო მარჯვედ იყენებს, ვიდრე მისი ოპონენტები.

ერთი შეხედვით, ეს-ეც პარადოქსია, რადგან ხელისუფლების ტოტალური კრახი იმდენად აშკარაა, შევარდნაძის პოლიტიკური დისკრედიტაცია თითქოს დიდ ხარიჟულეს არ უნდა წარმოადგენდეს. დღევანდელი მმართველობის ხასიათი, ესაა სახელმწიფოს მეთაურის მიერ მაფიოზურ-კლანურ დაჯგუფებათა შორის „დაბალანსებული“ წინააღმდეგობა. ჭეშმარიტ რუსეთის მიერ კონტროლირებადი ძალოვანი სტრუქტურები. თითქოს „კოსმეტიკური“ რეფორმატორი მინისტრთა კაბინეტში, რასაკვირველია, საერთო ხერხის არ ცვლის. ამ სიტუაციაში ხელისუფლების საწინააღმდეგო, „გამანადგურებელი“ არგუმენტები მართლაც საკმარისზე მეტია, მაგრამ საქმეც ისაა,რომ საკუთრივ ოპოზიციის საქმიანობა მისსავე არგუმენტებს უარგისსა და გამოუსადეგარს ხდის...

საერთოდ, ოპოზიცია არაერთგვაროვანია. იგი შეიძლება პირობითად ხუთ ნაწილად დაყოფილ: გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ე.წ. „ზვიადისტები“ და ბოლოს უარავი წვრილ-წვრილი პარტიები, რომლებიც თავისთავად რეალურ ძალას არ წარმოადგენენ, ოღონდ შეუძლიათ გაძლიერონ უფრო მსხვილი დაჯგუფებანი. „ზვიადისტებს“ ასევე არ გააჩნიათ წარმმართველი ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია, სულ საქართველოში ათზე მეტი „ზვიადისტური“ პარტია და საზოგადოებაა, მაგრამ მათი ძალა, როგორც იტყვიან — ერთობაშია. „ზვიადისტების“ მონოლითურობას განაპირობებს, „ერთის მხრივ, განსცენებული პრეზიდენტისადმი კრმთავკანონმცემლური დამოკიდებულება, და მეორეს მხრივ, პათოლოგიური სიძულვილი არა მარტო ხელისუფლების, არამედ „არაზვიადისტური“ ოპოზიციის მიმართაც. გარდა ამისა, „ზვიადისტებს“ სხვა პარტიებისგან განსხვავებით გააჩნიათ რეალური სოციალური დასაყრდენი — ლუმპენიზირებული მასა. მათ აქტივში უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ თავიანთი იდეების პროპაგანდით აშკარად ჯაბნიან დარჩენ ოპოზიციონერებს: მარტო თბილისში გამართული „ზვიადისტური“ გაზეთები გაცილებით მეტია, ვიდრე ყველა სხვა ოპოზიციურ პარტიათა გამოცემები ერთად აღებული! „ზვიადისტები“ საზღვარგარეთაც აქტიურად მუშაობენ, ბევრად უფრო აქტიურად, ვიდრე რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო. მოკლედ, ესაა საკმაოდ მრავალრიცხოვანი, გავლენიანი ძალა. მათთვის დამახასიათებელი პროვინციალიზმი და ინტელექტუალური სიმწირე საქართველოში გამეფებული საყოველთაო არაკომპეტენტურობის ფონზე სერიოზულ ნაკლად არც კი ჩაითვლება. „ზვიადისტების“ არსებითი სისუსტეა ის, რომ ჯერ ერთი არა ჰყავთ ლიდერი, ლუმპენიზირებულ მასას კი ქარიზმატიული „ბელადი“ აუცილებლად ჭირდება, რათა თავისი დამსწრეველი პოტენცია აამოქმედოს. გამახურდიას სიკვდილის შემდეგ ასეთი წინამძღოლი არ ჩანს და ალბათ არც უახლოეს მომავალში გამოჩნდება. თანაც „ზვიადისტებს“ პრინციპულად არ სურთ „ხუნტის მიერ დანიშნულ ფსევდოარჩევნებში“ მონაწილეობა და ყოველგვარი კომპრომისის წინაპირობად „კანონიერი ხელისუფლების აღდგენას“ მოითხოვენ. ამგვარი უაზრო რადიკალიზმის წყალობით ისინი პოლიტიკურ პროცესებზე რეალურ ზეგავლენას ვერ ახდენენ, თუმცა შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს იმდენად, რამდენადაც სხვა პოლიტიკური ძალები მოახერხებენ „ზვიადისტების“ ფაქტორის“ გამოყენებას.

ამ მხრივ ყველაზე მიზანშიმართულად მუშაობს ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი. ეს პარტია, თუ შეიძლება ასე ითქვას „სამმაგი ფლირტის“ პოლიტიკას ეწევა: თავის გაზეთში ბეჭდავს აშკარად „ზვიადისტურ“ პუბლიკაციებს, რითაც პრეზიდენტის თაყვანისმცემელია გარკვეული ნაწილის სიმპათიებს იმსახურებს; იმავე დროს კონსულტაციებს მართავს საპარლამენტო ოპოზიციასთან კოალიციური მთავრობის შესადგენად და თან ხელისუფლებასთან თანამშრომლობასაც არ თაკილობს. მათი ლიდერის, აკაკი ასათიანის გამოსვლები პარლამენტში ყოველივის გამჭირვევა თავშეკავებულობითა და ზომიერებით. ტრადიციონალისტთა კავშირი ერთადერთი ოპოზიციური პარტიაა, რომელიც თუ მხარს არ უჭერს, არც ეწინააღმდეგება ხელისუფლების კურსს აფხაზეთის პრობლემასთან მიმართებით. პარტიის მონარქისტული და ნაციონალისტური იდეოლოგია დღეს ტრადიციონალისტთა საქმიანობაში რამდენადმე მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს, ისინი მიზნად მოპავალი არჩევნებისთვის მზადებით არიან დაკავებულნი. ახლან აბაშიძის, ჭურმან ომანიძისა და სხვა შეძლებული „სპონსორების“ შემწეობით პარტია ფინანსურადაც მოძლიერდა და შესაბამისად გაიზარდა მისი პოლიტიკური „წონაც“. მთავარი პროპაგანდისტული პოსტულატი, რომელსაც ტრადიციონალისტები- საკმაოდ ფრთხილად და „ტექნიკურად“ ამკვიდრებენ საზოგადოებაში, გახლავთ შემდეგი: ყველა ბოლოდროინდელი უბედურების წყარო 1991 წლის „საშობაო გადატრიალებაა“, რაშიაც მეომარ მხარეებზე არანაკლებ დამნაშავეა „ანტიზვიადისტური“ ოპოზიციაც; ახლა მათ ადარც „ესენგეში“ შესვლა უნდა უკვირდეთ და ადარც აფხაზეთის დაკარგვა — ამაზე მაშინ უნდა ეფიქრათ, როცა „ნაუშესკუ-ნაუშესკუს“ ძახილით რუსიაველის პროსპექტზე დემონსტრაციებს აწყობდნენ!.. ასეთი შეფასება „ზვიადისტებისთვისაც“ მეტ-ნაკლებად მისაღებია და ხელისუფლებასაც აწყობს, ვთქვათ, რესპუბლიკელებისა თუ ეროვნულ-დემოკრატების დისკრედიტაციისთვის; საბოლოო ჯამში კი ყველაზე მეტად ტრადიციონალისტები რჩებიან მოგებული, რადგან „თბილისის ომის“ დროს მათი ორჭოფული პოზიცია ერთგვარ მორალურ გამართლებას იძენს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ არა „მრგვალი წარსული“, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს კარგი შანსები ექნებოდა არჩევნებში, მაგრამ მიუხედავად მცდელობისა, მათ მაინც ვერ შეძლეს ბოლომდე განთავისუფლებულიყვნენ აკაკისეული „ლამურას“ არასასარგებლო იმიჯისგან. თუკი პარტია ცალკე იყრის კენჭს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს ოპონენტები ამას აუცილებლად გამოიყენებენ; ამიტომ შესაძლოა ქართული პოლიტიკური ელიტის (ხელისუფლება — ოპოზიცია) „ორმხრივ დისკრედიტაციაზე“ აგებული ტაქტიკა სულაც წამგებიანი აღმოჩნდეს. ამგვარი ტაქტიკის ლოგიკური ფინალი ის იქნება, რომ პარტიაც „ორმხრივი ცეცხლის“ ქვეშ მოჰყვება, რაც ძლიერ საოუოს გახდის რაიმე შესაწინააღმდეგო წარმატებას...

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ბოლო დროამდე ყველაზე პერსპექტიული პარტია იყო ოპოზიციონერთა შორის. ესაა შეკრული, კარგად ორგანიზებული ძალა, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. საქმიანი ვიზიტები ევროპასა და ამერიკაში, კონტაქტები იქაურ გავლენიან პოლიტიკოსებიან, ქრისტიან-დემოკრატიული მიმართულების გაერთიანებებთან — ყოველივე ეს პარტიის ავტორიტეტს ამაღლებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. პარტიის ფუნდამენტური პრინციპებია საქართველოს დამოუკიდებლობა და პროდასავლური ორიენტაცია; სხვა ყველაფერი ეროვნულ-დემოკრატებისთვის ტაქტიკის საკითხია, თუმცა ამ მხრივ ხშირად ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან და ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, თუ დღევანდელი საქციელი ხვალ როგორ მოუტრიალდებათ. საქართველოს „ესენგეში“ შესვლამდე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავდაუზოგავად უჭერდა მხარს სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკას და შევარდნაძის „მთავარ დამრტყმელ ძალად“ აღიქმებოდა (თუკი მათ შორის რაიმე უთანხმოება იყო, ეს კულუარებში რჩებოდა და საჯაროდ არასდროს დაფიქსირებულა). ამ ხნის მანძილზე მათთვის ტელევიზიის კარიც ყოველთვის ღია იყო და არც მდიდარი „სპონსორები“ მოჰკლებიათ. ოპოზიციაში გადასვლის შემდეგაც პარტია კვლავ ადასტურებდა ლოიალობას ედუარდ შევარდნაძის მიმართ, ოღონდ სასტიკად აკრიტიკებდა მის გარემოცვას, განსაკუთრებით სახოგადოების თვალში ისედაც დისკრედიტირებულ გაელენიან პირებს. ამგვარი ტაქტიკის წყალობით სწორედ შევარდნაძის პოზიციებს „უდგებოდა წყალი“, რადგან პარტიის პოპულარობა განუხრელად იზრდებოდა და არსებული ხელისუფლების რეალურ ალტერნატივად ყალიბდებოდა: მარტოოდენ მოსგებიანი ტაქტიკა წარმატების გარანტია ვერ იქნებოდა, თუ არა ერთი სუბიექტური ფაქტორი, ანუ — ოენგის კატეგორიის გამოთქმა რომ ვისარგოთ — „ჭანტურია-სარიშვილის ალიანსი“. დინამიური, ენერგიული გიორგი ჭანტურია-სტრატეგი და გაწონასწორებული, ინტელექტუალური ირინა სარიშვილი — ტაქტიკოსი შესანიშნავ ტანდემს ჭმნიდა (ირინა სარიშვილი-ჭანტურია დღემდე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურაა, მისი პირადი რეიტინგი გაცილებით მაღალია, ვიდრე ყველა სხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსისა). ბოლო დროს სწორედ ჭანტურიას ინიციატივით დაიწყო კონსულტაციები კოალიციური მთავრობის შექმნის მიზნით, რაც ხელისუფლებისთვის ზეკეკ სავსებით რეალური საფრთხე იყო — ახალანდელი მინისტრთა კაბინეტის შეცვლა ოპოზიციურ პარტიათა გაერთიანებული გუნდით მთლიანად არ ღვევდა იმ ძალთა ბალანსს, რომლის მეშვეობითაც შევარდნაძე „ერთადერთი და შეუცვლელი“ ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. მაგრამ ვითარება მართლაც რადიკალურად შეიცვალა გიორგი ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ. სახელმწიფოს მეთაურმა ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და აშკარად აიძულა ეროვნულ-დემოკრატები მკვეთრად დაპირისპირებოდნენ „პირადად შევარდნაძეს.“ ამით შევარდნაძემ მოიგო და ედპ-მ წაგო. მათი ლიდერების უკანასკნელი ინტერვიუები და საჯარო განცხადებები ადამიანური პოზიციებიდან სრულიად გასაგებია, მაგრამ ძალზე წამგებიანია პოლიტიკური პერსპექტივის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ირინა სარიშვილი-ჭანტურია რარიგ გრძნობებსაც უნდა აჰკვეს, მაინც უფრო ჭკვიანურად ილაპარაკებს, ვიდრე წინასწარ მომზადებული ბევრი სხვა ქართველი პოლიტიკოსი, ოღონდ საქმის არსს ეს არ ცვლის. ირინა სარიშვილის ძალა ყველასაგან გამორჩეული, „ანტიძალადობრივი“ სიდინჯე იყო, რაც რევოლუციური ქარტეხლებით გადაღლილ მოსახლეობაში სიმპატიებს იწვევდა. იმის თქმა არ შინდა, თითქოს ქ-ნი ირინა მოლიანად ემოციებს აჰყვა, უბრალოდ მისი ბოლოდროინდელი გამოსვლებით თავისუფლად შეიძლება სწორედ ასეთი აზრი დამკვიდრდეს, მითუმეტეს შევარდნაძესთან ეროვნულ-დემოკრატების ძველ ურთიერთობებს თუ გავითვალისწინებთ. ამით ედუარდ შევარდნაძეს არაფერი აკლდება. პარტიის სამოქალაქო პერსპექტივა კი დღეს დიდწილად სწორედ ირინა სარიშვილ-ჭანტურიას პიროვნულ ავტორიტეტზეა დამოკიდებული...

ეროვნულ-დემოკრატების რადიკალიზაციამ გამოიწვია მათი პოზიციების დაახლოება **გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიასთან.** ესაა ტიპიური ლიბერალური იდეოლოგიის პარტია, ზომიერად ნაციონალისტური ელვერით. მათი დამოკიდებულება ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ თავიდანვე მეტ-ნაკლებად კრიტიკული იყო. ამასთან რესპუბლიკელების კრიტიკა, როგორც წესი, არგუმენტირებული გახლდათ და კონსტრუქციულობით გამოირჩეოდა, რაც ძლიერ აღიზიანებდა შევარდნაძეს. ეს მეტად სიმპტომატურია: გამოჩენილი ავსტრიელი ეკონომისტი და მოაზროვნე, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი თავის კლასიკურ ნაშრომში „ვია მონობისკენ“ შენიშნავდა, რომ კომუნისტები და ფაშისტები თავიანთი შინაგანი ბუნებით, სულიერი კონსტიტუციით აბსოლუტურად იდენტურები იყვნენ. მათი ურთიერთშეუთავსებლობა ისეთივე გახლდათ, როგორც ორთოდოქსის დაპირისპირება ერეტიკოსთან, ეს იყო კონფლიქტი ერთნაირი მენტალობისა და განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანებს შორის; ოღონდ ორივენი მართლაც ორგანულად ვერ იტანდნენ „უცხო სხეულს“, ანუ ევროპელი ლიბერალის ტიპს. დაახლოებით ანალოგიურ სქემაში ჯდება გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიისადმი ხელისუფლებისა და „ზვიადისტების“ დამოკიდებულებაც: „მართლმორწმუნე ზვიადისტს“ არსებული ხელისუფლება სძულს, რესპუბლიკური პარტია კი ეშინდება. მეორეს მხრივ, შევარდნაძეც ისე უყურებს რესპუბლიკელებს, როგორც ლენინი ბურჟუაზიას. სახელმწიფოს მეთაურისთვის რესპუბლიკელთა თანმიმდევრული დემოკრატიზმი გაცილებით გაუგებარი და მიუღებელია, ვიდრე, ვთქვათ, ეროვნულ-დემოკრატების „უკიდურესობანი. თუ ტრადიციონალისტების“ ორმაგი“ თამაში. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მთავარი დასაყრდენი საზოგადოებაში წესით საშუალო და ძალი თაობის ინტელექტუალური [illegible], ახალგაზრდა, პატიოსანი ბიზნესმენები და სტუდენტობა უნდა იყოს. მაგრამ მიუხედავად. იმისა, რომ იდეოლოგიური და მორალური ჰაბიტუსით რესპუბლიკელები სხვებზე სიმპათიურად გამოიკურებიან, მაინ ორგანიზაციული და ტაქტიკური სისუსტე ჯერ უზრუნველყოფს რეალურ თანადგომას პოტენციურ მოკავშირეთა მხრიდან. რესპუბლიკელთა გასაცხადი ადექვატურად არ აისახება პრაქტიკულ საქმიანობაში; ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პარტიის ორგანიზაციული ბირთვი მარტო პრესკონფერენციებით თუ დეკლარაციებით იფარგლება და სხვას არაფერს აკეთებს. გარდა ამისა, მათ არა ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი, რაც ძალზე სერიოზული ნაკლია ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციისთვის. საზოგადოების ის ნაწილი კი, რომელიც რესპუბლიკელთა პოტენციური მხარდამჭერია, არცთუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ ყველაზე ინტელექტუალური და შესაბამისად ყველაზე მოქნილი ელექტორატია. რასაც რესპუბლიკელები ამბობენ — მათ ისედაც იციან. მთავარია რა ტაქტიკური ხერხებით ცდილობს რესპუბლიკური პარტია თავისი ლიბერალური მრწამსის „ცხოვრებაში გატარებას“ და რამდენად ქმედითი,რამდენად ეფექტურია ეს ტაქტიკა. მოკლედ, მთავარია არა თეორია, არამედ პრაქტიკა; არა შინაარსი, არამედ ფორმა. ვთქვათ, როცა პარლამენტში რაიმე სადაო საკითხი ისმება, ზემოთ ნახსენები ელექტორატი იმას კი არ აფიქსირებს, ვინ მართალია და ვინ მტყუანი — ეს მათთვის (კიდევ გავიმეორებ) ისედაც ცნობილია— იგი უფრო იმას აკვირდება, თუ რომელი ფრაქცია როგორ მიაწოდებს თავის სათქმელს რიგით მოქალაქეს, ანუ. მარტივად რომ ვთქვათ, ვინ როგორ მოაწოლებს თავს პოლიტიკურ პერიპეტიებში ნაკლებად გაცნობიერებულ ადამიანს. ამ თვალიანსედვით ძალიან უარყოფითი რეაქციას იწვევს ის, რომ არაერთი ოპოზიციური პარტია იმდენს არ ხმაურობს პარლამენტის სხდომებზე, რამდენსაც რესპუბლიკელები; თან მინდამაინც მაშინ, როცა სადისკუსიო საკითხის ბედი ისეთივე გადწყვეტილია შევარდნაძის მიერ „საუფლო უმრავლესობის“ საყოველთაო მობილიზაციით. საბოლოოდ კი სახელმწიფოს მეთაურს მაინც თავისი გაექეს, ხოლო რესპუბლიკელებს, ვახტანგ რჩეულიშვილის თქმისა არ იყოს, „მთელი საქართველო უყურებს, როგორც დემონსტრირებს!“

ელემენტარული აქსიომაა: თუკი პოლიტიკური პარტია რეალურ მხარდაჭერას ვერ პოულობს იმ ადამიანებისგანაც კი, რომლებიც შინაგანად მისი მომხრეები არიან, ყოველგვარ წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეს ეხება არა მარტო რესპუბლიკელებს, არამედ სხვებსაც. მაგალითად საპარლამენტო უმრავლესობიდან რამდენიმე ათეული კაცი შეთავსებით მუშაობს რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, რაც კანონის უხეში დარღვევაა. ოპოზიციის მხრიდან კი ფაქტიურად არავითარი ძალისხმევა არ იგრძნობა, რათა „ხელმეტი ხმები“ მოაკლონ შევარდნაძს. ცხადია, სახელმწიფოს მეთაური შეეცდება ეს არ დაუშვას, მაგრამ თუკი ოპოზიცია „გაინძრევა“, ნამდვილად არ წაგებს. საკვირველი ისაა, რომ თითქოს ოპოზიციონერებს არც ესმით საკითხის მნიშვნელობა; არადა „ესენგეში“ შესვლის რატიფიკაციაც და წელიწადნელი ბიუჯეტის (წაკითხვა მთავრობის) დამტკიცებაც რამდენიმე ათეული კაცის წყალობით მოხდა. 11 მარტის „ისტორიული“ სხდომიდან საბიუჯეტო ბატალიებამდე კი მთელი ცხრა თვე (!) გავიდა. ხომ ცხადზე უცხადესი იყო, რომ წლის ბოლოს ბიუჯეტის „ჩაგდებით“ რეალური შანსი ჩნდებოდა ყოველდ უვარგისი მთავრობის გადაყენებისა? ბოლოს და ბოლოს, თუკი ზოგ-ზოგებს მაინც შევარდნაძის იმედი ჰქონდათ (სრულიად უსაფუძვლოდ) — ოეთოონ დათხოვს მთავრობას და ჩვენ „ბიგეიშეებს ლუქელიანო“, ხომ იყენენ

ისეთებიც, ვისაც ეს არ სჯერიდა? იმათ რაღა უშლიდათ ხელს მთელი სიმწავით, კატეგორიულად მოეთხოვათ (არც მეტი, არც ნაკლები) კანონის დაცვა? როცა კანონის აღსრულების შემთხვევაში შეგიძლია პრაქტიკულად ხელისუფლების ნებისმიერი გადაწყვეტილების ბლოკირება მოახდინო და ამ შესაძლებლობას ვერ იყენებ — ეს რბილად რომ ვთქვათ, უგერგილობაა. უახრო დებატებში დროის ხარჯვას, რომლის შედეგი წინასწარ ცნობილია, აშკარად ჯობია „უკანონო დეპუტატების“ წინააღმდეგ მიმართო ენერგია და თუ საჭიროება მოითხოვს, რადიკალურ დაპირისპირებასაც არ მოერიდო, რადგან ეს ის შემთხვევაა, როცა „ჩიტი ბრდღვნად ღირს!“ არ არის გამორიცხული შევარდნაძეს მომავალშიაც დაჭირდეს „სადეპუტატო მობილიზაციის“ გამოცხადება, თუნდაც სამხედრო ბაზების საკითხისთვის ან არჩევნების ვადის გადასაწევად. ოპოზიციის არსენალში მრისხანე იარაღია — კანონი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა ან უნდა დაიცვას, ანდა აშკარად დაარღვიოს — პარლამენტი „გარეკოს“ და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს, რაც ნაკლებად მოსალოდნელია: რიგორია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება იმ მოტივით, რომ ოპოზიცია კანონის შესრულებას ითხოვს!

კიდევ ერთი მაგალითი: ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში მოქმედებს ე.წ. „ლუსტრაციის კანონი“, როცა იქმნება სპეციალური კომისია, რომელსაც გადაეცემა მონაცემები უცხო ქვეყნების აგენტურის შესახებ. თუკი რომელიმე ყოფილი აგენტი შეეცდება მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკაში, მას გააფრთხილებენ, ხოლო თუ ათვისას მაინც არ მოიშლის — საჯაროდ ამხელენ. ამგვარი კანონის მიღების აუცილებლობაზე პირველად პრესაში, თუ არ ვცდები, „იერია-ექსპრესში“ დაიწერა. ჩვენს პარლამენტში კი მხოლოდ ბ-ნმა მიხეილ ნანეიშვილმა ამოიღო ერთელ ხმა და ისიც კარგა ხნის წინათ. დიდი თუ ეცირე ოპოზიციური პარტიები ბევრს ლაპარაკობენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურთა ძირგამოთხრილ მუშაობაზე, მაგრამ რატომღაც „ლუსტრაციის კანონი“ არავის ახსენდება. აქ ორში ერთია: ან ოპოზიციონერებს ეშინიათ თვითონ მათ რიგებში არ აღმოჩნდეს ბევრი აგენტი, ან კვლავ ვერ აცნობიერებენ საკითხის მნიშვნელობას. პირადად მე უფრო მეორე მგონია, იმიტომ რომ თუნდაც რომელიმე ოპოზიციური პარტია სანახევროდ სულ აგენტებით იყოს დაკომპლექტებული, არც შეეარდნაძე და არც პარლამენტო უმრავლესობა არაფრისდიდებით არ დათანხმდება ამ კანონის მიღებას, მითუმეტეს რუსეთთან დღევანდელი „ძური“ ურთიერთობის ფონზე. თვით საკითხის დასმით ოპოზიცია აშკარა მორალურ უპირატესობას ეუფლება, რადგან იმის ნორმალურად დაბაუთება, თუ რა ეშმაკად გვჭირდება ძველი „კაგებეშნიკები“ და რატომ არ უნდა შემოვიღოთ ასეთი კანონი — პრაქტიკულად შეუძლებელია. სხვათა შორის, შევარდნაძე მაშინაც „არქივების გახსნის“ წინააღმდეგი იყო, „ესენგეს“ დიად მომავალს რომ ვერ ჭვრეტდა და ერთხელ ჯავრიან გულზე პარლამენტის ტრიბუნიდანაც აღმოხდა: რა უნდა გააკეთო კაცმა, როცა აქაურობა გატენილია ერთი მეზობელი ქვეყნის აგენტურითო! იმ „მეზობელ ქვეყანაში“ სომხეთი და აზერბაიჯანი რომ არ იგულისხმებოდა, ალბათ ნათელია...

„ლუსტრაციის კანონის“ შემოღების მოთხოვნა აამაღლებდა ოპოზიციის პრესტიჟს, რომელსაც თურმე ხელისუფლებისგან განსხვავებით არ ეშინია „კარტის გახსნის“. როგორც უკვე ვთქვით, ხალხი არ პატიობს პოლიტიკოსს სისუსტეს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სწორედ შეარდნაძე გამოჩნდებოდა „სუსტი და გაუბედავი“. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ისედაც სიტყვა გაგეგრძელდა. მთავარი სხვაა: ოპოზიცია ვერ იყენებს აშკარად მოშგებიან შესაძლებლობებს

დაინახო — ძნელია!). როგორ გინდა დაარწმუნო იგი,რომ ეს ადამიანები შეიძლებენ ქვეყნის მართვას, თუკი უმარტივესი ტექტიკური სვლების გაფლა ვერ მოუხერხებიათ? შევარდნაძე ძალიან კარგად იყენებს ოპოზიციის ტაქტიკურ შეცდომებს და ოსტატური მანიპულაციებით ამკვიდრებს აზრს, თითქოს ის თუ წავა — ქვეყანა დაიკარგა. „დიახ, შევარდნაძემ ვერ ივარგა“ — ფიქრობს ამომრჩეველი— „მაგრამ თავისი ძველი, ნომენკლატურული ავტორიტეტით კიდევ აწყნარებს სიტუაციას, ოპოზიციის გამარჯვება კი სრულ ქაოსს გამოიწვევს: ჯერ ერთი, თანამდებობებს ვერ გაიყოფენ და ერთმანეთს დაერევიან, მერე აქეთ შეიარალებული მაფიოზები ატყდებიან, იქით არაქართველები აგვიჯანყდებიან და ა.შ...“ შევარდნაძის წინააღმრჩევნო სტრატეგია — „ან მე, ან ჩემზე უარესები!“ — ამართლებს, რადგან ამომრჩეველს სრული საფუძველი გაჩნია სწორედ ასე იფიქროს. დასაწყისში ვთქვი და აქაც გავიმეორებ: ხალხი მხარს დაუჭერს იმას, ვისგანაც წესრიგის დამყარების იმედი ექნება. ოპოზიცია კი (იგულისხმება აბსოლუტურად ყველა ოპოზიციური პარტია) ამის იმედს ვერ იძლევა. პარტიები თავიანთი შეუთანხმებლობით და ურთიერთსაწინააღმდეგო ტაქტიკით ფაქტიურად ერთმანეთს „ირაყენ“, რადგან მასის თვალში ოპოზიცია მაინც ერთია, როგორც ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა განაყოფი. შევარდნაძეც კარგად თამაშობს პარტიათა შორის წინააღმდეგობებზე. უფრო მეტად აღვიკვებს მათ ნაირგვარი კონსულტაციებისა თუ დებატების საშუალებით. ისევდროულად უკვე დიდი ხანა მიმდინარეობს მოლაპარაკებები ეროვნული მოძრაობის დისკრედიტირების კამპანია, თითქოს მიტინგებზე ლანძღვით „რუსეთი გავალიანეთ“, „ყველაფერი დავანგრიეთ“, და ა.შ...

დასასრულ უნდა ითქვას, რომ მოპავალი არჩევნები ამ პატიოსნული, უმაქნისი და კორუმპირებული ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი შანსია. შესაძლოა არც ისე დიდი ეს შანსი, შესაძლოა არც ოპოზიციის

სახეა მაინცდამაინც მიმზიდველი — იცოცხლე, კარგია მათ შორის დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე ან ილია ჭავჭავაძე იყოს; მაგრამ რაც არის — ეს არის. სხვა ალტერნატივა „იტალიური ოპერის მოყვარულთა საზოგადოებაა“*, მაგრამ ოპოზიცია ვერც კი გამოჩნდება ალტერნატივად, თუკი ყველაზე მსხვილმა პარტიებმა, უკიდურეს შემთხვევაში რამოდენიმე მათგანმა მაინც, საერთო ენა ვერ გამონახეს და ვერ მოახერხეს ერთიანი, ხალხისთვის გასაგები ტაქტიკის შემუშავება. მაშინ ოპოზიცია დაამტკიცებდა, რომ მას ნამდვილად შეუძლია ქვეყნის ინტერესები პარტიულ ამბიციებსა და პიროვნულ ანტიპატიებზე მაღლა დააყენოს. ყველაზე მეტად ხელისუფლებას სწორედ ამის ეშინია; მაგრამ ეს უფრო კეთილი სურვილებია, ვიდრე რეალური პროგნოზი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ისეთი ვითარებაა, როცა ცალ-ცალკე, პარტიოდენ საკუთარი ძალებით ვერცერთი პარტია ვერაფერს მიაღწევს. ოპოზიციონერთა შორის უფრო დაბნეულობა და დაქაქსულობა შეიმჩნევა, ვიდრე გააზრებული ტაქტიკის კონტურები. (ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერმა, აკაკი ასათიანმა უკვე განაცხადა, რომ ისინი როგორც ჩანს ცალკე იყრიან კენჭს). ერთობლივი, გონივრულად შერჩეული გუნდი და ჭკვიანური ტაქტიკა, რასაკვირველია წარმატების გარანტია არ არის, მაგრამ შანსებს ნამდვილად ზრდის. თუმცა ეს მაინც, როგორც უკვე ვთქვით, ნაკლებად რეალური პერსპექტივაა და ალბათ ყველაფერი დამთავრდება შეარდნაძის დამაჯერებელი გამარჯვებით. „პროვინციული სოციალიზმის“ და პროვინციული კორლეონიზმის სიმბიოზი კიდევ გაიხანგრძლივებს სიცოცხლეს და კვლავ გაგრძელდება ქვეყნის ნგრევა ჩრდილოეთიდან ამოპავალი მზის ქვეშ.

* განგსტერთა კლუბი პოპულარული კინოფილმიდან „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

 პოლემიკა

მედლის ორი (ცუდი) მხარე

მიხეილ მახარაძე

ერთი სათაურით გაერთიანებულ წერილში ჯრიტიკულადაა განხილული ორი ავტორის სრულიად განსხვავებული ხასიათის გამოსვლა, რომელთაგან ერთში დილეტანტიზმი ნავარდობს, სოლო მეორეში პროფესიული ცნობიერებაა გალაღებული. დილეტანტიზმი და პროფესიული ცნობიერება, ამ შემთხვევაში მედლის ორი და ორივე ცუდი მხარეა...

როცა დილეტანტიზმი ნავარდობს!

ჟურნალ „რელიგიის“ მთავარი რედაქტორის ვიქტორ რცხილაძის წერილ-განმარტებაში („ლ.ს.“, №45,1994) მკრებელურად იყო მიწნეული ნოდარ ნათაძის წიგნში „მითი და სინამდვილე“ (1978) გატარებული ერთი აზრი. ჩემს გამოსვლაში („საქართველო“, №27, 1994), ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ვცადე სიცხადის შეტანა სადავო საკითხში. ამას მოყვა ვ. რცხილაძის სამპასუხო რეპლიკა („ლ.ს.“, №1, 1995), რომელიც გამოირჩეოდა ზედაპირულობით, წაკითხული წიგნების რაოდენობით თავის მოწონებითა და ამის საფუძველზე „ცოდნის“ დემონსტრაციით, რაც სხვა არაფერია, თუ არა დილეტანტიზმი.

ბოლო გამოსვლაში — „მებრძოლი უმეცრება“ („ლ.ს.“, №4, 1995), ვ. რცხილაძემ ჩემს ახალ შენიშვნებს („საქართველო“, №1, 1995) ვერაფერი უპასუხა, მეტიც — საერთოდ ავარა გვერდი საკითხს, რის გამოც დაიწყო ჩვენი პოლემიკა. ასე მაგალითად, ჩემს ერთ შენიშვნაზე — დიდი ღვთისმეტყველები, რომლებიც ღმერთის არსებობის დასაბუთებას ცდილობდნენ, ეკლესიას ანათემისათვის კი არ გადაუცია, პირქით, ზოგიერთი მათგანი წმინდანადაც შერაცხა მეთქი (ეს კი თავდაყირა აყენებდა ვ. რცხილაძის „კანმარტებას“), აბსოლუტური დუმილი ამჯობინა.

ვ. რცხილაძეს თავის ბოლო გამოსვლაში თავი მოაქვს „აკადემიური სტილით“ და სწორედ ამ სტილით თავის პირველ წერილში შმოძღვრავს, ჭკუას მასწავლის, „მაუწყებს“, „მაწბილებს“, „შემახსენებს“, ხოლო მეორე წერილში ჩემი მისამართით წერს: „ჯიუტობს“, „დემაგოგიას მიმართავს“, „ამოღერღა“... ჯერ ამ წერილის სათაური რად ღირს! (რას იზამ, კოკასა შიგან...).

ვ. რცხილაძის ბოლო გამოსვლის დაწვრილებით განხილვას აზრი არა აქვს. ეს იგივეა, შეაყარო კედელს ცერცვი, სულ ერთია მას მაინც ვერაფერს გააგებინებ. მაშინ, როცა მე ვ. რცხილაძეს მაღალ მატერიებზე ვესაუბრები, ის შეუპოვრად მიიწევს დილეტანტიზმის ლაბირინთებში (განა მან უკეთ არ იცის თავისი ადგილსამყოფელი!) და ამასთან აქეთ მდებს ბრალს, ბრაზობს, ილანძღება...

პოლემიკაში დილეტანტიზმის გამოხატულებაა წაკითხული წიგნების რაოდენობით თავის მოწონება და ამის ცოდნად გასაღება; დილეტანტიზმია ისიც, რომ თავს იმშვიდებ ოპონენტს წიგნები არა აქვს წაკითხულიო; დილეტანტიზმია ისიც, რომ საკუთარი აზრი არ გაგაჩნია და წამდაუწუმ სხვას იმოწმებ, ლექსიკონებსა და ცნობარებში იხედები და ა.შ.

ოპონენტმა თავის წერილში მისაყვედურა — ჩემს მიერ თარგმნილი ჭეარი. ნ. ჰუონდერის წიგნი როგორ არა გაქვს წაკითხულიო. პასუხში ოთხი შენიშვნა გამოვთქვი, რაც ამ თარგმანის უხეირობაზე მეტყველებდა (ეს, მე არასპეციალისტმა თვალის ერთი გადავლებით აღმოვაჩინე!). ოპონენტმა შენიშვნებს ვერ გასცა პასუხი და თავი ასეთი გულუბრყვილო აღნიშვნით დაიმშვიდა: დაასახელა მის მიერ თარგმნილი კიდევ სხვა შრომა, რომელიც ჰუონდერის წიგნთან ერთად მოუწონებიათ მეცნიერებს. თუნდაც სიმართლე რომ იყოს ეს, რა კავშირი აქვს ამ ფაქტს ჩემს შენიშვნებთან?

ვ. რცხილაძე იქვე შენიშნავს, რომ მ. მახარაძე ჰუონდერის წიგნს არ იცნობს და მხოლოდ ჩემი თარგმანით იფარგლებაო. კი მაგრამ, „მტკიცებათა განვითარება“, „მტკიცებათა დასაბუთება“, „ფილოსოფირება“ ცუდი ქართულია და „მარტივი“ და „უბრალო“ ერთი და იგივე რომ არაა, ამის გასარკვევად ჰუონდერის წიგნის ორიგინალი რაშია საჭირო?

მოდით კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ ამ თარგმანში. ჰუონდერის წიგნის სათაური — „Die Cottes beweise (Geschichte und Schicksal)“, ვ. რცხილაძის მიერ თარგმნილია „ღვთის არსებობის მტკიცებები (მათი ისტორია და ბედი)“. სათაურის პირველი ნაწილი რომ უხეიროდაა ნათარგმნი, ამის შესახებ გავაკეთეთ შენიშვნა ადრე. ახლა მეორე ნაწილს დავაკვირდეთ და შეუიარაღებელი თვალითაც კარგად დავინახავთ, რომ აქ კუთვნილებითი ნაცვალსახელი — „მათი“ უადგილო და სრულიად ზედმეტია. საჭირო იყო ყველაფერი ამის გასარკვევად ჰუონდერის წიგნის დედანი?

წერილში ვ. რცხილაძე ორჯერ აღნიშნავს,რომ მ. მახარაძემ თემას გადაუხვიაო. სიცრუეა! ერთ საკითხსაც არ შევხებივარ, რომელიც ოპონენტს არ წამოეჭრას. მან კი მართლაც გადაუხვია თემას და სრულიად უადგილოდ განსჯის საგნად გაიხადა ჩემი ნაშრომი „Философское содержание ареопагитики“ (Тб; 1991). აიღო რა ხელში ეს მონოგრაფია, გადაათვალიერა, მითითებულ ლიტერატურასაც გადახედა — ნახა რომ მეტნაკლებად სხვასაც შესძლებია გერმანული ნაშრომებით სარგებლობა და დარწმუნდა,რომ აქ დილეტანტური ვარჯიშებით ფონს ვერ გავიდოდა. მაგრამ ევრიკა! სახეზეა „აღმოჩენა“ და იქვე ოპონენტისათვის დამახასიათებელი კატეგორიული განჩენი: ამ გამოკვლევის „მეცნიერული ღირებულება დაბალი იქნება (!— მ.მ.)“, რადგანაც ავტორმა ბერძნული ენა არ იცის, იგი ემყარება არეოპაგიტიკისა და იოანე დამასკელის შრომების ქართულ თარგმანებს, რომლებიც თვით გამომცემელთა შენიშვნით ბერძნული დედნებისაგან განსხვავებულიაო. ამასთან, მ. მახარაძე ერთი-ორი რუსული თარგმანის გარდა, ამ შრომების სხვა ენებზე თარგმანს არ იყენებს.

იცოცხლეთ, რა სჯობია ორიგინალში წაკითხვას! მაგრამ, განა ვ. რცხილაძემ არ უწყის, რომ ჩვენს სინამდვილეში ამ ფუფუნებას მოკლებული ვიყავით. თვით ჩვენი უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ძველი ბერძნული ენა ფაქტობრივად არ ისწავლებოდა (ასეა ახლაც). ანტიკური ფილოსოფიის ჩვენი ცნობილი მკვლევარებიდან მხოლოდ პროფ. სერგი დანელია ფლობდა ბერძნულ ენას საფუძვლიანად და ეს ცოდნა მას კლასიკურ გიმნაზიაში ჰქონდა მიღებული. სხვები ამ ბედნიერებას მოკლებულნი იყვნენ, თუმცა მშვენიერი გამოკვლევები დაგვიტოვეს ბერძნულ ფილოსოფიაში (მ. გოგიბერიძე, ს. ზერეთელი). აკად. კოტე ბაქრაძეს არ იცოდა ფრანგული ენა, მაგრამ მისი შრომები ფრანგულ ფილოსოფიის წარმომადგენლებზე დღესაც შეუცვლელია ჩვენში.

ასე რომ, ოპონენტის გასაკვირად, მე არ ვყოფილვარ პირველი, ვინც ფილოსოფიის ისტორიაში გამოვაქვეყნე ნაშრომი, ისე რომ არ ვფლობ ორიგინალის ენას. რაც შეეხება არეოპაგიტიკისა და იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართული თარგმანების დაშორებას ორიგინალებისაგან, ერთობ ბირობითი შენიშვნაა აზრობრივი თვალსაზრისით. ამაში ყველა დამერწმუნება, ვისაც შეხების წერტილები ჰქონია აღნიშნულ ძეგლებთან.

ასე რომ, ნაშრომის გაცნობის გარეშე, ასეთი მკაცრი განაჩენის გამოტანა, დილეტანტიზმის გამოხატულებაა.

აქვე ოპონენტი მკითხველს ამცნობს, რომ მე წიგნში დასახელებული მაქვს მხოლოდ ორი თხზულება არეოპაგიტული კორპუსიდან რუსულ ენაზე, რომელთაგან ერთი XVIII საუკუნეშია გამოცემული და არსებობს მისი მე-4 გამოცემა. მე კი მხოლოდ პირველ გამოცემას მივუთითიებ ლიტერატურაში. მაგრამ აქვე ოპონენტი კრინტს არ ძრავს მეორე თხზულებაზე და ეს შემთხვევითი არ გახლავთ. ესაა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თავაური ფილოსოფიური თხზულება „საღმრთოთა სახელთათვის“ — „О божественных именнах“. Пер. Игумена Генадия (Эйкаловича). Буэнос–Айрес, 1957. ჩემს ხსენებულ ნაშრომში რუსი და რუსულენოვანი მკითხველისათვის, არსებითად ამ თარგმანს ვემყარები.

გამოდის, რომ საქართველოსა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიების ფილოსოფიის ინსტიტუტებში, მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრაზე, და ბოლოს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზირებულ სბჭოში ყველა შეცდა და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ერთხმად მომანიჭა ამ, ვ. რცხილაძის წარმოდგენით — უწიგნურს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (ფაქტობრივად ვ. რცხილაძის დაწუნებულ წიგნში). მოკლედ ყველა შეცდა და მხოლოდ ერთი — ვ. რცხილაძეა ჭკვიანი (მისი საყვარელი გამოთქმაა ჩემი მისამართით!).

სხვათაშორის, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის რეცენზიაში, ჩემი ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიწნეული იქნა ის ფაქტი, რომ იგი შესრულებულია ევროპელი მეცნიერებისათვის უცნობი არეოპაგიტიკის ძველქართული თარგმანის საფუძველზე. ასე ფიქრობენ კიეველი სპეციალისტები, მაგრამ ამაზე სხვა აზრისაა ვ. რცხილაძე. რას იზამ, გემოვნებაზე არ დავობენ, მითუმეტეს, როცა წიგნი საერთოდ არაა წაკითხული!

იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჩემ სადისერტაციო ნაშრომს, ვიდრე მსვლელობა მიეცემოდა, გაეცნო აკად. გურამ თევზაძე და ამ ნაშრომის მიმართ მას რაიმე არსებითი ხასიათის შენიშვნა არ ჰქონია. ბ-ნი გურამის პრინციპულობა და მიუდგომლობა კი საყოველთაოდაა ცნობილი. ფილოსოფიის ინსტიტუტში წინასწარ დაცვაზე ნაშრომს მაღალი შეფასება და დასაცავად რეკომენდაცია მისცა მთავარმა რეცენზენტმა, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი ცინცაძემ. რატომ დამჭირდა ბ-ბის გ. თევზაძისა და გ. ცინცაძის სახელების შეწუხება? იმის გამო, რომ ვ. რცხილაძე თავის ბოლო წერილში დიდი მოწიწებით იმოწმებს აღნიშნულ ავტორებს და ამის გათვალისწინებით, მათი მაღალი აზრი ჩემს ნაშრომზე — ვ. რცხილაძის დაწუნებულ წიგნზე, რაღაცას უნდა ეუბნებოდეს ოპონენტს.

ვ. რცხილაძე ჩემი „ცთომილების“ მთავარ მიზეზად მიიჩნევს არეოპაგიტიკის არასწორ წაკითხვას, კერძოდ, პოფუტიკური თეოლოგიის ცალმხრივ გაგებას. აქაც დილეტანტიზმი ნავარდობს და როგორ ასეთი ვითარებაა, მაშინ აზროვნებისათვის ადგილი აღარ რჩება. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ, როცა პირველად 1976 წელს ეს „ცალმხრივი გაგება“ ქართველ ფილოსოფოსებს გავაცანი, ამას არაერთგვაროვანი რეაქცია მოყვა. მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა სათანადო არგუმენტებით ჩემი პოზიციის მართებულობა დავასაბუთე, იგი მიწნეული იქნა არეოპაგიტიკის ახლებურ წაკითხვად. რაც დოფიქსირებულია კიდეც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. ტიტე მოსია, „დვინთ გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა“, თბ. 1986, გვ. 79).

ოპონენტის შენიშვნით — მე სულაც არა მაქვს მიზნად ნ. ნათაძის დაცვა. სრული სიმართლეა! მე არც ნ. ნათაძეს ვიცავ და არც ვ. რცხილაძეს ვებრძვი! მე არ ვიზიარებ ნ. ნათაძის ერთი მოსაზრების ვ. რცხილაძის მხრიდან გაუგებრობაზე დამყარებულ შეფასებას. მაგრამ ეს არაა მთავარი. ოპონენტი, რომელიც აქეთ ამბრალებს დემაგოგიას, აქ თვითონ გვევლინება დემაგოგის როლში. ვ. რცხილაძის „მიხვედრით“ მე გალიზიანებული ვარ იმის გამო, რომ ის აღარ მიბეჭდავს ორ სტატიას დაბალი დონის გამო. ამის შესახებ პირველად გავიგე და ასეც რომ ყოფილიყო, რომელი დამწყები ავტორი მე ვარ, რომ ამის გამო გადავრეულიყავი. ჩემი სტატია გრიგოლ ნოსელზე, რომელიც დაუბრკოლებლად დაიბეჭდა ჟურნალ „რელიგიაში“, დაახლოებით იმავე დონისაა და ისეთივე ხასიათისა, როგორიც რედაქტორის მიერ „დაწუნებული“ ორი სტატია (ბასილი დიდსა და ავგუსტინეზე) და არაა გამორიცხული, რომ რედაქტორს ასეთი გადაწყვეტილება გვიანდელი რიცხვით მიეღოს, ჩემი გამოსვლების შემდეგ.

აი, კიდევ ორი მაგალითი დემაგოგიისა. ვ. რცხილაძის აღნიშვნით მე აგდებით ვიხსენიებ ქართულ-ევროპულ ინსტიტუტს და ჟურნალ „რელიგიას“. ქართულ-ევროპული ინსტიტუტის პრემია, რაც მინიჭებული აქვს ვ. რცხილაძეს, მოვიხსენიე, როგორც სპატიო. სხვა რამ ამის თაობაზე არ მითქვამს. მერედა ესაა აგდებული დამოკიდებულება?

ჟურნალ „რელიგიის „მისამართით კი აღვნშნე — „ნახევრად საერო“, მხედველობაში მქონდა ის გარემოება, რომ ამ ჟურნალში იბეჭდება არამხოლოდ რელიგიური და თეოლოგიური ხასიათის წერილები. შევნიშნავ, რომ ჟურნალი „რელიგია“ ურიგო არაა და ამაში მთავარი დამსახურება ეკუთვნის მის მთავარ რედაქტორს ვ. რცხილაძეს. ჩემი შენიშვნა სულ სხვა კუთხით იყო გამოთქმული: დიდი თანამდებობის პირი (არა აქვს მნიშვნელობა დეპარტამენტის დირექტორი ხარ თუ კორპორაციის თავმჯდომარე), ნახევრად საერო ჟურნალის რედაქტორი, ვინც ამ ქვეყნის სიმტკიცესაც არ იცლებ და ამავე დროს დგები უკიდურეს რელიგიურ თვალსაზრისზე და სხვის, შენთვის მიუღებელ აზრებზე გამოგაქვს ინკვიზიციური განაჩენი. ეს არც მხოლოდ დილეტანტიზმია და არც მხოლოდ პროვინციალიზმი. ესაა უზნეობა, რადგანაც რწმენა და ამის შესაბამისი მოსაზრებები ადამიანის

უაღრესად ინტიმური სფეროა, ყოველ ადამიანს აქვს უფლება იყოს ან ათეისტი, ან თეისტი ან პანთეისტი და ა.შ. ამ ინტიმურ სფეროში მასში ცხვირის ჩაყოფა კი, ვიმეორებთ უზნეობაა, იქნება ეს თეიზ-

დასასრული მე-6 გვ.

პროვინციული ცნობიერების ბილიკებზე

გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ (№2, 1995) ორ გვერდზე გამოაქვეყნა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველის, პროფესორ გურამ შარაძის ღია წერილი, სადაც განსჯის საგანია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისადმი ჩემი ღია წერილი (გაზეთი „საქართველო“, №24,1994).

პირველად ამ წერილიდან გავიგე, რომ გ. შარაძესა და ჩემს შორის „წლების მანძილზე ახლო მეგობრული დამოკიდებულება“ ყოფილა, რაც მას საფუძველს აძლევს მხოლოდ „შენობით“ მელაპარაკოს ღია წერილში.

კვლავ მინდა შევჩერდე სიტყვა „დაარსებაზე“, რომელიც ოპონენტმა გამოიყენა ეგზისტენციალიზმის მისამართით. ფილოსოფიური მიმდინარეობის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია და მისი დათარიღება, რასაც აუცილებლად მოითხოვს სიტყვა „დაარსება“, გაუმართლებელია. აქ კალკთან გვაქვს საქმე და უფრო მართებულია ვიზმაროთ სხვა სიტყვა „მამამთავარი“, „წინამორბედი“, „დამფუძნებელი“.. თვითონ ოპონენტი, ხომ აზუსტებს „დამაარსებელი“ და „დამფუძნებელი“ სინონიმებია.ჰოდა, ჩემს მიერ აღნიშნული ნიუანსის გათვალისწინებით გამოიყენოს სიტყვა „დამფუძნებელი“ და საკამათოც არაფერი იქნება.

ოპონენტს მიაჩნია (თუ თავს იტყუებს?), რომ მისმა წერილმა რაღაც-რაღაცეები მასწავლა. ამის დასტურად მას მიაჩნია ჩემი „აღიარება“: „იქნებ ზოგიერთი რამ მართლაც არ ვიცი, ზოგიერთ ავტორს მართლაც არ ვიცნობ, მაგრამ ხომ კარგად მოეხსენება ვ. რცხილაძეს, თუ საიდან მოდის ყველაფერი ეს. ან მორალის რომელ კატეგორიას ეჭვემდებარება ის, რომ რომელიღაც წიგნი ჩაიგდო ხელში, სხვას მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს და ამის საფუძველზე მას ზემოდან დაუწყო ყურება (ი რას ასდის პროვინციალიზმის ხუნი!)“. თუ აქ ოპონენტმა „აღიარების“ მეტი ვერაფერი ამოიკითხა, კარგად ყოფილა მისი საქმე!

ჩემგან განსხვავებით, ვ. რცხილაძემ რა თქმა უნდა ძალიან ბევრი „იცის“. იმ რაოდენობის სქელტანიანი წიგნები, რასაც იგი მისახელებს და რასაც რეზერვში იტოვებს კიდევ, ჩვეულებრივმა მოკვდავმა (ვ. რცხილაძემ, მე და ჩვენნაირებმა), უბრალოდ რომ წაიკითხოს თავგზა აებნევა და ორიენტაციაც დაეკარგება. ვ. რცხილაძის დილეტანტური წიაღსვლების სახით — ამის უტყუარი მაგალითი სახეზეა!

აღარ გავაგრძელებ საუბარს ქრისტეზე, როგორც „ჩვეულებრივ“ ადამიანზე, რაც არასოდეს მითქვამს და ასე უპალიციოდ გაავრცელა ჩემზე ოპონენტმა და რისთვისაც თავის წინა წერილში არც მანიპულაციებს მოერიდა ჩემი ნათქვამის მისამართით. ქრისტე, როგორც ისტორიული პიროვნება თავისი ადამიანური ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, არამც და არამც არ ნიშნავს ჩვეულებრივ ადამიანს.

საუბარი გაგვიგრძელდა. ვ. რცხილაძე და მე სხვა და სხვა რამეზე ვმსჯელობთ. მას ინფორმაცია ცოდნა ჰგონია, ხოლო მრავალრიცხოვანი წიგნების მოხსენიება და შიგა და შიგ ციტატების დამოწმება — მეცნიერული კვლევა-ძიება. იგი იმდენადაა გატაცებული წაკითხული წიგნების რაოდენობის დემონსტრაციით, რომ თავის წერილში ერთსა და იმავე საკითხზე ორ სრულიად საპირისპირო მოსაზრებას იმოწმებს (ი. ბოხენსკისა და ფ. ჰაილერის) და მკითხველი ვერ გაიგებს თუ რომელს იზიარებს ავტორი, რაც ასევე დილეტანტიზმის გამოხატულებაა.

მოკლედ, ვ. რცხილაძის მსჯელობები ჯერ კიდევ შორსაა ცოდნის დონემდე ამაღლებამდე და ახლა გულწრფელად ვურჩევ მას: როგორმე შეურიგდეს ჩემს მკაცრ შენიშვნებს, გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება საქმისადმი — კითხვის ფიქრი და აზრიც დაუმატოს და თუ იგი ამას მოახერხებს, შეიძლება მისმა ჩახედულებამ ღვთისმეტყველურ ლიტერატურაში მთლად უკვალოდ არ ჩაიაროს.

ვ. რცხილაძე თავის წერილში ორჯერ აღთქმას დებს — მ. მახარაძესთან კამათს აღარ გავაგრძელებო, რადგან „მასთან უბრალოდ უინტერესოა კამათი“ (იქნებ დაესახელებინა სხვასთან მისი „საინტერესო“ კამათის ფაქტი).

სწორი გადაწყვეტილებაა! მან უბრალოდ კამათის დანიშნულება არ იცის და ჯერჭერობით ამ საქმიდან სასარგებლო დასკვნებს ვერ გამოიტანს. ამის დასტურად იკმარებდა ის ფაქტი, რომ წინა წერილში ვაღიარე ჩემი შეცდომა — „ფაქტობრივი ლაფსუსი“ ჯორდანო ბრუნოსთან დაკავშირებით. მეტი რაღა იყო საჭირო. შახსეი-ვახსეის ხომ არ დავიწყებდი? მაგრამ, ვ. რცხილაძემ ეს არ იკმარა და ჩემი ეს აღიარება შეურაცხმყოფელი სიტყვებით გამოხატა („ამოლერღაო“) და მკითხველზე ეფექტის მოხდენის მიზნით როგორც ადრე, ისე ახლაც, წერილის ბოლოს გაგრძელა საუბარი ამ „კურიოზზე“.

რაც მთავარია, თუკი ვ. რცხილაძე პირობას შეასრულებს და კამათს შეწყვეტს, ეს მისთვისაც იქნება კარგი და მკითხველიც დაისვენებს ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების პრინციპულ საკითხებზე მისი დილეტანტური ვარჯიშებისაგან.

მეხუთე გვერდიდან

მისა თუ მარქსისტულ-ათეისტური პოზიციიდან.

ვ. რცხილაძის წერილში დიდი ადგილი უკავია ციტატებს, ავტორების ჩამოთვლას და თითქმის არავითარი საკუთარ აზრს. ასე მაგალითად, ის აღნიშნავს, რომ ჯორდანო ბრუნოს მისამართით გამოთქმა „დეზერტირი ბერი“ მე კი არა, ერთ დიდ ფიზიკოსს ეკუთვნისო, აგნოსტიციზმსა და პოზიტიკურ თეოლოგიის ურთიერთმიმართებაზე აზრი ჩემი კი არა ჰ. ფორგრიმლერისააო, ასევეა ვითარება ეგზისტენციალიზმის „დაარსებასთან“ დაკავშირებით. მოკლედ, ეს დალაგებილი ზეციერი, რასაც ადრე, ყოველგვარი დამოწმების გარეშე საკუთრად ასაღებდა, თურმე სხვათა აზრები ყოფილა, მაგრამ ძლაგიატი ოპონენტი ახლა აქეთ მედავება გამარჯვებულის ტონით.

კვლავ ამ ნიდან შევჩერდე სიტყვა „დაარსებაზე“, რომელიც ოპონენტმა გამოიყენა ეგზისტენციალიზმის მისამართით. ფილოსოფიური მიმდინარეობის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია და მისი დათარიღება, რასაც აუცილებლად მოითხოვს სიტყვა „დაარსება“, გაუმართლებელია. აქ კალკთან გვაქვს საქმე და უფრო მართებულია ვიზმაროთ სხვა სიტყვა „მამამთავარი“, „წინამორბედი“, „დამფუძნებელი“.. თვითონ ოპონენტი, ხომ აზუსტებს „დამაარსებელი“ და „დამფუძნებელი“ სინონიმებია.ჰოდა, ჩემს მიერ აღნიშნული ნიუანსის გათვალისწინებით გამოიყენოს სიტყვა „დამფუძნებელი“ და საკამათოც არაფერი იქნება.

ოპონენტს მიაჩნია (თუ თავს იტყუებს?), რომ მისმა წერილმა რაღაც-რაღაცეები მასწავლა. ამის დასტურად მას მიაჩნია ჩემი „აღიარება“: „იქნებ ზოგიერთი რამ მართლაც არ ვიცი, ზოგიერთ ავტორს მართლაც არ ვიცნობ, მაგრამ ხომ კარგად მოეხსენება ვ. რცხილაძეს, თუ საიდან მოდის ყველაფერი ეს. ან მორალის რომელ კატეგორიას ეჭვემდებარება ის, რომ რომელიღაც წიგნი ჩაიგდო ხელში, სხვას მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს და ამის საფუძველზე მას ზემოდან დაუწყო ყურება (ი რას ასდის პროვინციალიზმის ხუნი!)“. თუ აქ ოპონენტმა „აღიარების“ მეტი ვერაფერი ამოიკითხა, კარგად ყოფილა მისი საქმე!

ჩემგან განსხვავებით, ვ. რცხილაძემ რა თქმა უნდა ძალიან ბევრი „იცის“. იმ რაოდენობის სქელტანიანი წიგნები, რასაც იგი მისახელებს და რასაც რეზერვში იტოვებს კიდევ, ჩვეულებრივმა მოკვდავმა (ვ. რცხილაძემ, მე და ჩვენნაირებმა), უბრალოდ რომ წაიკითხოს თავგზა აებნევა და ორიენტაციაც დაეკარგება. ვ. რცხილაძის დილეტანტური წიაღსვლების სახით — ამის უტყუარი მაგალითი სახეზეა!

აღარ გავაგრძელებ საუბარს ქრისტეზე, როგორც „ჩვეულებრივ“ ადამიანზე, რაც არასოდეს მითქვამს და ასე უპალიციოდ გაავრცელა ჩემზე ოპონენტმა და რისთვისაც თავის წინა წერილში არც მანიპულაციებს მოერიდა ჩემი ნათქვამის მისამართით. ქრისტე, როგორც ისტორიული პიროვნება თავისი ადამიანური ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, არამც და არამც არ ნიშნავს ჩვეულებრივ ადამიანს.

საუბარი გაგვიგრძელდა. ვ. რცხილაძე და მე სხვა და სხვა რამეზე ვმსჯელობთ. მას ინფორმაცია ცოდნა ჰგონია, ხოლო მრავალრიცხოვანი წიგნების მოხსენიება და შიგა და შიგ ციტატების დამოწმება — მეცნიერული კვლევა-ძიება. იგი იმდენადაა გატაცებული წაკითხული წიგნების რაოდენობის დემონსტრაციით, რომ თავის წერილში ერთსა და იმავე საკითხზე ორ სრულიად საპირისპირო მოსაზრებას იმოწმებს (ი. ბოხენსკისა და ფ. ჰაილერის) და მკითხველი ვერ გაიგებს თუ რომელს იზიარებს ავტორი, რაც ასევე დილეტანტიზმის გამოხატულებაა.

მოკლედ, ვ. რცხილაძის მსჯელობები ჯერ კიდევ შორსაა ცოდნის დონემდე ამაღლებამდე და ახლა გულწრფელად ვურჩევ მას: როგორმე შეურიგდეს ჩემს მკაცრ შენიშვნებს, გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება საქმისადმი — კითხვის ფიქრი და აზრიც დაუმატოს და თუ იგი ამას მოახერხებს, შეიძლება მისმა ჩახედულებამ ღვთისმეტყველურ ლიტერატურაში მთლად უკვალოდ არ ჩაიაროს.

ვ. რცხილაძე თავის წერილში ორჯერ აღთქმას დებს — მ. მახარაძესთან კამათს აღარ გავაგრძელებო, რადგან „მასთან უბრალოდ უინტერესოა კამათი“ (იქნებ დაესახელებინა სხვასთან მისი „საინტერესო“ კამათის ფაქტი).

სწორი გადაწყვეტილებაა! მან უბრალოდ კამათის დანიშნულება არ იცის და ჯერჭერობით ამ საქმიდან სასარგებლო დასკვნებს ვერ გამოიტანს. ამის დასტურად იკმარებდა ის ფაქტი, რომ წინა წერილში ვაღიარე ჩემი შეცდომა — „ფაქტობრივი ლაფსუსი“ ჯორდანო ბრუნოსთან დაკავშირებით. მეტი რაღა იყო საჭირო. შახსეი-ვახსეის ხომ არ დავიწყებდი? მაგრამ, ვ. რცხილაძემ ეს არ იკმარა და ჩემი ეს აღიარება შეურაცხმყოფელი სიტყვებით გამოხატა („ამოლერღაო“) და მკითხველზე ეფექტის მოხდენის მიზნით როგორც ადრე, ისე ახლაც, წერილის ბოლოს გაგრძელა საუბარი ამ „კურიოზზე“.

რაც მთავარია, თუკი ვ. რცხილაძე პირობას შეასრულებს და კამათს შეწყვეტს, ეს მისთვისაც იქნება კარგი და მკითხველიც დაისვენებს ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების პრინციპულ საკითხებზე მისი დილეტანტური ვარჯიშებისაგან.

გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ (№2, 1995) ორ გვერდზე გამოაქვეყნა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველის, პროფესორ გურამ შარაძის ღია წერილი, სადაც განსჯის საგანია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისადმი ჩემი ღია წერილი (გაზეთი „საქართველო“, №24,1994).

პირველად ამ წერილიდან გავიგე, რომ გ. შარაძესა და ჩემს შორის „წლების მანძილზე ახლო მეგობრული დამოკიდებულება“ ყოფილა, რაც მას საფუძველს აძლევს მხოლოდ „შენობით“ მელაპარაკოს ღია წერილში.

ნინანულით შევნიშნავ, ბ-ნ გ.შარაძეს კარგად რომ გაეშიფრა ჩემი ღია წერილის სათაური და დაკვირვებით წაეკითხა მისი ფინალი, იქნებ, უკიდურეს შემთხვევაში თავი შეეკავებინა ნიშნის მოგებით შენიშვნებზე აჭარის უ.ს. თავმჯდომარისადმი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის დამოკიდებულებაზე.რადგანაც ამ საკითხი გ.შარაძეც და მეც ერთი აზრისანი ვართ.

ზოგადად ვიტყვი, რომ გ. შარაძე გაზეთის მთელ ორს სვეტზე ჩამოთვლის იმ განსაცვიფრებელ სასიკეთო საქმეებზე, რაც 1,5 წლის განმავლობაში, მისი იქ მუშაობის ხანაში გაკეთებულა აჭარაში მხოლოდ მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროებში. ეს მონაცემები გარკვეულ ეჭვსაც აღძრავს, რადგანაც დროის მკაცრ მონაკვეთში იმდენი რამაა გაკეთებული,რომ ამისათვის არათუ პატარა აჭარის, არამედ თვით აღმავლობის პერიოდში მყოფი მთლიანი საქართველოს რესურსებიც არ იკმარებდა. ეს მაშინ, როცა გაჩერებულია ქვეყნის საწარმო-დაწესებულებების დიდი ნაწილი, ძლივს შეკოწიწდა მიუჯეტი (ისიც სანახევროდ ჰუმანური დახმარების ხარჯზე), შიმშილობს მოსახლეობის დიდი ნაწილი და ა.შ. თვით გ. შარაძის წერილში წარმოდგენილი კონტრასტის ფონზე, გაჩნდება კითხვა, რომ ყველაფერი ეს ჩვენში (ეგ. აჭარაში — საქართველოში) ხდება თუ სადმე სხვა ქვეყანაში. თუ სიმართლეს შეესაბამება ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ მთელი სიმკაცრით ნათქვამი აჭარის თავკაცის ანტიქართულ პოლიტიკასა და შემოსავლის საეკვო წყაროებზე (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა,“ 27 ოქტომბერი, 1993).

მოკლედ, საკითხები, რომლებიც ასე აფიქრებს დღეს ქართველ საზოგადოებრიობას, ეს ჩემზე არანაკლებ წარმატებით მიაწოდა მკითხველს გ. შარაძემ თავისი ხსენებული ღია წერილით. მაგრამ შედეიოდა თუ არა ეს მის მიზანში, სულ სხვა საქმეა.

კონკრეტული საკითხების განხილვა დავიწყებ იმით, რომ ღია წერილში უარყოფითად შეეფასა აჭარაში პარალელური სტრუქტურების (სახელმწიფო პრემიებისა და მშვიდობის დაცვის კომიტეტები) ჩამოყალიბება აჭარაში, რაც სახელმწიფოში სახელმწიფოს შექმნის მცდელობად მივიჩნიე. გ. შარაძე არ მეთანხმება ამაში და უფრო მეტს მოითხოვს ასეთი გულუბრყვილო შენიშვნით: ნეტა მსგავსი მშვიდობის კომიტეტები სხვა რეგიონებშიც ყოფილიყო. და ამით ბევრ ნგრევას ავიცილებდითო.

სადავო აღარაა, რომ ავტონომიების საბჭოთა ხისტემამ დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს და არსებითად მასში უნდა ვეძიოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საფუძველი. როცა საქართველო შეუდგა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების ძნელ აღმართს, ამ დროს ერის კონსოლიდაცია და ცნობიერების გამთლიანება საჭირო და არა რეგიონების გაძლიერება პოლიტიკურად მისი ფედერალური სუბიექტის სტატუსის დონემდე ამაღლებით (ამის შესახებ იხ. დავით მუსხელიშვილი, „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ისტორიული საფუძვლები“, „ლ.ს.“, 9—16 დეკემბერი, 1994).

სამწუხაროდ, აჭარაში დღეს ამის საწინააღმდეგო ტენდენცია შეინიშნება და პარალელური სტრუქტურების ჩამოყალიბება ამის თვალნათლივი დადასტურებაა.

ბ-ნი გ. შარაძე ერთგვარი ნიშნის მოგებით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ყური არ ათხოვა შენს მიმართვას და ბათუმი თავისუფალ ეკონომიკურ ზონად (თეზ-ად) გამოაცხადაო, რისთვისაც შეუბოვარ ბრძოლას თურმე დაწაულად ვუთვლიდი აჭარის ხელმძღვანელს.

სინამდვილეში ჩემს გამოსვლებში საუბარი იყო იმაზე, რომ ჯერჭერობით არ არსებობდა თეზ-ის სასარგებლო დასაბუთებული მეცნიერული თვალსაზრისი. ამასთან ვითვალისწინებდი ისტორიას. ისტორია კი უარყოფითად აფასებდა თეზ-ის მსგავს მოვლენებს ბათუმში 1878-1886 წლებში (ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე) და 1920 წელს (ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი, მემედ აბაშიძე). ეს იყო და ეს. გ.შარაძეს კი შეეხსენებინა,რომ გასული წლის მიწურულს ჯერ ფოთი, შემდეგ კი ბათუმი ისე გამოცხადდა თეზ-ად, რომ რესპუბლიკის ხელისუფლებას ანგარიში არ გაუწევია თვით თავისი სპეციალისტებისათვის, რომელთა კატეგორიული შენიშვნით თუკი არ განიდევნება უცხოური ვალუტა და არ მოხდება ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია, თეზ-ის გამოცხადებაზე ლაპარაკი ზედმეტია (იხ. აჭარის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის შაქრო ჭურკვეიძისა და წამყვანი თანამშრომლის ანზორ მამუკაძის წერილი გაზეთ „ბანსში“, №44-45, 1994).

აჭარის ისტორიის ოთხტომეულთან დაკავშირებით კი გ. შარაძე ჩემი მისამართით აღნიშნავს,რომ ფილოსოფოსი კაცი თუ ამის წინააღმდეგი იქნებოდი, ვერ წარმოვიდგენდიო. აქ უფრო მისი „არგუმენტები“ სარწმუნოა: აქამდე საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები, ნარკვევები ფაქტობრივად ქართულ-კახეთის ისტორიას ეძღვნებოდა; აკად. ნიკო ბერძენიშვილი მოითხოვდა ამასო; ბევრი მეცნიერი უკიდურეს გაჭირვებაშია და რაა იმაში ცუდი, რომ მათ შესრულებული სამუშაოსათვის შესაბამისი ანაზღაურება მიეცეთო.

ვერც ერთი ეს „არგუმენტი“ კრიტიკას ვერ უძლებს. პირველ, ვიტყოდით ამ პროვოკაციულ „არგუმენტზე“ დროა ისტორიკოსებმა მიაქციონ ყურადღება. რაც შეეხება მეორე „არგუმენტს“, თუ გ. შარაძეს ვენდობით, ნ. ბერძენიშვილი მიმწუხრის ჟამს რეგიონების ისტორიის საფუძვლიან შესწავლას მოითხოვდა. მაგრამ რა შუაშია აქ რომელიმე კუთხის ისტორიის მრავალტომეული?

მესამე „არგუმენტი“ კი საკითხისადმი არასერიოზული მიდგომის ნიმუშია: გაგონილა ასეთი სერიოზული საქმეზე შეჭიდება გაამართლო გაჭირვებაში მყოფი მეცნიერების ხელის გაწოდებით?

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, სახელმძღვანელოები ნაკლოვანია, მაგრამ მისი გამოსწორება უნდა მოხდეს არა რეგიონების მრავალტომეულის შექმნით, არამედ ამ ნარკვევებისა თუ სახელმძღვანელოების დახვეწით, ნაკლოვანებების გამოსწორებით და ა.შ. სხვათაშორის, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ შედგა საქართველოს ისტორიისა და ძეგლთა დაცვის პროგრამები, მათში აჭარა ვერ იყო სათანადოდ წარმოდგენილი (იხ. „ჩემი წერილები გაზეთ „სახალხო განათლებაში“, 21 ივნისი და 26 ივლისი, 1990) მაშინ არავის, მათ შორის იმ ისტორიკოსებს,რომლებიც ახლა აჭარის ოთხტომეულის შემდგენელ-რედაქტორები არიან, ხმა არ ამოუღიათ. არც ბ-ნ გ.შარაძეს შეუწუხებია ამაზე თავი.

აჭარის ახლანდელ „გულშემატკივრებს“ და მათ შორის გ. შარაძეს ხმა არ ამოუღიათ, როცა საქართველოს საინფორმაციო საშუალებებით ჭვაროსნული შეტევა დაიწყო აჭარაზე: ჯერ რელიგიური ნიშნით (1985 წ.), ხოლო შემდგომ ბათუმში ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა დარბევა ხელისუფლების მიერ აჭარის მოსახლეობას ბრალდებოდა (1988 წ.). თავის დროზე, ვინც ამ მოვლენებისადმი გულგრილი არ ყოფილა, ახლა აჭარის მტრებად ცხადდებიან, ხოლო ისინი, ვისაც მაშინ ჩრდადაც არ ეფერდათ აჭარის ინტერესები, ახლა „უანგარო“ ქომაგებად გვევლინებიან. ეს სხვათაშორის.

ბ-ნი გ. შარაძე ასევე არ იზიარებს ჩემს პოზიციას ბათუმის მახლობლად ბუნებრივი აირის აღმოჩენასთან დაკავშირებით. არადა, ჩემი პოზიცია მთლიანად ემყარებოდა სახელმწიფოს მეთაურის გასული წლის 5 სექტემბრის რადიოინტერვიუსა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის კათედრის ლაბორატორიის ხელმძღვანელის მიხეილ კავილაძის წერილს იმავე გასული წლის 10 ოქტომბრის გაზეთ „თბილისში“. ჩემს ღია წერილში ყველაფერ ამაზე იყო სათანადო მითითება, მაგრამ გ. შარაძემ ეს ფაქტი მიჩქმალა და სახელმწიფოს მეთაურსა და ბ-ნ მ. კავილაძის აზრები ჩემეულად მიაწოდა მკითხველს.

გ. შარაძე ასევე ნიშნისმოგებით მეუბნება, რომ შენ აჭარის ხელმძღვანელს ანტასამთავრობა ძალებთან კეთილგანწყობილებას აბრალებ, სახელმწიფოს მეთაური კი მას გენერალ მაიორობას ანიჭებსო (თუმცა, იქვე ამ ფაქტს თვითონვე ეჭვის ქვეშ აყენებს იმის აღნიშვნით, რომ ჩვენში ზოგიერთებს საქართველოს ნგრევისთვისაც ანიჭებენ გენერლობასო). ოპონენტმა მკითხველს ბოლომდე არ უთხრა ჩემი ნათქვამი და ეს გასაგებიცაა: მე ხომ ხაზგასმით მქონდა აღნიშნული, რომ ანტისამთავრობო ძალების მეთაურს ვიზიტები ჰქონდა ბათუმში და აჭარის ტელევიზიით გამოდიოდა, ვითარცა ეროვნული გმირი.

ამ საკითხზე უფრო დაწვრილებითაც ვისაუბრებდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც 23 იანვარს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაიცა ძალოვანი სტრუქტურების შეხვედრაზე საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსის გამოსვლა, სათქმელი აღარაფერი მაქვს. ამ გამოსვლით კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩემი პოზიციის მართებულობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ბ-ნი გ. შარაძის გაკვირვებული შენიშვნით, თითქოსდა მე ოდესმე მეთქვას რაიმე ტბელი აბუსერიძის, მემედ აბაშიძის, შერიფ ხიმშიაშვილისა და სხვათა შესახებ, როგორც პროვინციალებზე. ეს ცილისწამებაა! არსად ამის მსგავსი რამ არაფერი მითქვამს. მე ვწერდი, რომ უამრავი რაოდენობის ავტონომიური (კუთხური!) სახელმწიფო პრემიების დაწესება პროვინციალიზმია! ამაზე უფრო კონკრეტულად:

ბ-ნო გურამ, როცა არ არსებობს გოგრაულის, აღმაშენებლის, ერეკლე მეფის პრემია სამხედრო-პატრიოტულ სფეროში, ამ დროს შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის ავტონომიური (კუთხური!) სახელმწიფო პრემიის დაწესება ამ კუთხით პროვინციალიზმი არაა?

როცა არ არსებობს უშანგი ჩხეიძის, აკაკი ზორავას, აკაკი ვასაძის, სერგო ზარქუასის პრემიები, ამ დროს კუთხურობის ნიშნით იუსუფ კოპალაძის სახელობის ავტონომიური სახელმწიფო პრემიის დაწესება, პროვინციალიზმია!

ამის მერე, ამ ნიშნით, ეს ფაქტი ერთ-ერთ ადგილზე ამ ბ-ნ გ.შარაძეს ეთქვა, ეს ფაქტი ეთქვა ბ-ნ ბ. ბოხენსკის, ეს ფაქტი ეთქვა ბ-ნ ფ. ჰაილერს

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მემორანდუმი კონსტიტუციურ პროცესთან დაკავშირებით

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღიდან ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია კონსტიტუციური პროცესის სწორი მიმართულებით განვითარება. კონსტიტუციური პროცესის წარმატებით დასრულებაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და შემდგომი განვითარება.

საკითხის აქტუალობისა და მნიშვნელობის გამო თავს ვალდებულად მივიჩნევთ საჯაროდ გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია კონსტიტუციური პროცესისადმი და საზოგადოებასა თუ პოლიტიკურ ძალებს შევთავაზოთ კრიზისულ სტადიაში მყოფი კონსტიტუციური პროცესის შემდგომი განვითარების ჩვენეული პროექტი. აქვე საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია კონსტიტუციური პროცესის წარმატებულ განვითარებაზე დიდად იყო მოწადინებული, რაც გამოიხატა ამ პროცესში აქტიური მონაწილეობით და ნაყოფიერი მუშაობით.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, 1993 წლიდან დაიწყო მუშაობა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტზე. დღეისათვის შექმნილია პროექტის რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის — ერთი შეჯერებულიც. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღების დადგენილი პროცედურის შესაბამისად, პროექტის საბოლოო რედაქციის შემუშავების შემდეგ იგი უნდა წარედგინოს პარლამენტს და გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის. პარლამენტს პროექტზე მსჯელობის დაწყების უფლება აქვს გამოქვეყნებიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ. პროექტის მიღება უნდა მოხდეს ხმების ორი მესამედით, ამის შემდეგ პროექტი გატანილ უნდა იქნას სარეფერენდუმოდ. ასეთია კონსტიტუციის მიღების დადგენილი პროცედურა, რომელიც სათავეს 1921 წლის კონსტიტუციიდან იღებს.

კონსტიტუციური პროცესის ანალიზი, რომელიც ეფუძნება მასთან დაკავშირებული ყველა პოლიტიკური, სამართლებრივი თუ ტექნიკური გარემოების ცოდნას, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ კონსტიტუციის პროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბება, განხილვა და მიღება დადგენილ პროცედურით და დადგენილ ვადებში ვერ მოხერხდება, რასაც სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. ამჯერად ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამ მიზეზების ნამოთვლა-შეფასებას; უმთავრესია ის პოლიტიკური შედეგები, რაც კონსტიტუციის ახალი რედაქციის ვერმიღებას მოჰყვება. უპირველესად, მხედველობაში გვაქვს მორიგი საპარლამენტო არჩევნების შესაძლო გადავადება. გათვალისწინებული იყო, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გაიმართოს მიმდინარე წლის არაუგვიანეს ოქტომბრისა, უნდა მიღებულიყო კონსტიტუცია და სწორედ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო არჩევნები. ამგვარი თანმიმდევრულობა გამართლებულია როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს დაიწყო ღია საუბარი საპარლამენტო არჩევნების გადადების მიზანშეწონილობაზე. პოლიტიკურ არგუმენტებთან ერთად არჩევნების გადადების საფუძვლად მიიჩნევენ კონსტიტუციური პროცესის გაჭიანურებას. როგორც ჩანს, ჯერ მიმდინარეობს ამ აზრის დამკვიდრების მოსამზადებელი ეტაპი, რასაც, ალბათ, მოჰყვება არჩევნების გადადების პრაქტიკული მცდელობა. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია თვლის, რომ საპარლამენტო არჩევნების გადადება ძირეულად ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, კერძოდ:

1. დღეს მოქმედი საკონსტიტუციო კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ არ ითვალისწინებს პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას. აქედან გამომდინარე, არჩევნების გადადება და პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება არალეგიტიმურს, არაკანონიერს გახდის საქართველოს ხელისუფლებას, რაც უცილობლად დაამძიმებს ჩვენი სახელმწიფოს ისედაც უმძიმეს საშინაო მდგომარეობას; გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: ხელისუფლების არალეგიტიმურად ქცევა გააგრძელებს იმ ანტისახელმწიფოებრივ ტრადიციას, რომელსაც, საუბედუროდ, 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალებით დაედო საფუძველი და რომელიც გამოიხატება ქვეყანაში არალეგიტიმური ხელისუფლების წარმოშობა-არსებობით. ამგვარი არალეგიტიმურობის კატასტროფული შედეგები უკვე ვიწვნიეთ. ფრიად დამძიმდება ჩვენი საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობაც, რადგან სრულფასოვანი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ხელისუფლების ლეგიტიმურობა;

2. სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანა და მის საფუძველზე პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება იქნება ხელისუფლების უზურპაციის დაკანონება, რის გამოც ამგვარი ცვლილება არათუ შინაარსობრივად, არამედ ფორმალურადაც ვერ გახდის ხელისუფლებას ლეგიტიმურს; ამდენად, ამ შემთხვევაშიც იმოქმედებს ზემოჩამოთვლილი უარყოფითი ფაქტორები;

3. კონსტიტუციის ახალი რედაქციის საპარლამენტო არჩევნებამდე ვერმიღება არ შეიძლება იყოს არჩევნების გადადების საფუძველი. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი ვალდებულია დანიშნოს არჩევნები, რომელიც ჩატარდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

იმავე დროს ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ დამტკიცებისას უკარგისი საარჩევნო დებულების საფუძველზე არჩევნების ჩატარება და ხელისუფლების შესახებ კანონით გათვალისწინებული სტრუქტურების დაკომპლექტება თავისთავად შეიცავს ბევრ უარყოფით მომენტს სახელმწიფოებრივი აღშენებლობის თვალსაზრისით; ძველი სტრუქტურების უცვლელად დატოვება მძლავრი შეაფერხებელი ფაქტორი გახდება ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. თუმცა, პოლიტიკური პროცესების ამ მიმართულებით განვითარება ნაკლებად უარესია, ვიდრე არჩევნების გადადება.

არსებული მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღება არჩევნებამდე, ხაზს ვუსვამთ, სწორედ არჩევნებამდე და არა არჩევნების ჩატარებასთან ერთად. კონსტიტუციის მიღება და არჩევნების ჩატარება ერთდროულად, როგორც ეს რუსეთში მოხდა, სამართლებრივი და პოლიტიკური ნონსენსია და ჩვენთვის მიუღებელია. დადგენილი პროცედურით კი ქვეყნის ძირითადი კანონის მიღება მორიგ საპარლამენტო არჩევნებამდე ვერ მოხერხდება. ამავე დროს კონსტიტუციის ფორსირებულად მიღება მოითხოვს დადგენილი პროცედურის დარღვევას, რაც არასასურველია როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. საკონსტიტუციო პროცესის ფორსირება უდავოდ უარყოფითად იმოქმედებს კონსტიტუციის ხარისხზე; გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს პოლიტიკურ წრეებში არსებულ ასობით მკვეთრ სხვადასხვაობას მმართველობის ფორმაზე, სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობაზე, აფხაზეთის, შიდა ქართლისა და აჭარის სტატუსზე, სხვა მნიშვნელოვან კონსტიტუციურ საკითხებზე, ცხადი გახდება, რომ პარლამენტში თანხმობის ფორსირებულად მიღწევა უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ დებულებებზე ძლიერ გაჭირდება; ხოლო მექანიკური უმრავლესობის შექმნის გზით აღნიშნული პრობლემების გადაჭრა გამორიცხავს თანხმობის მიღწევის საჭიროებასა და არსებობას; ამგვარი თანხმობის არარსებობა კი არამყარი კონსტიტუციისა და არასტაბილური პოლიტიკური ვითარების საფუძველი იქნება, კონსტიტუცია — როგორც ეროვნული თანხმობის შედეგი — არ იარსებებს, რაც ეწინააღმდეგება ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღება დადგენილი პროცედურის დარღვევით კონსტიტუციასა და შესაბამისად, კონსტიტუციური ორგანოების არსებობას გამოაცლის ლეგიტიმურობის არსს, რაც, დიდი ალბათობით, ახალი და დიდი ეროვნული განხეთქილების მძლავრი საფუძველი გახდება და რაც საბოლოო კატასტროფას უქადის ჩვენს ქვეყანას. ამგვარი ხიფათის რეალურობაზე მიუთითებს შემდეგი გარემოებაც: უკვე არის პრაქტიკული მცდელობები, შეჯერებული მოდელის შეთანხმებული ტექსტის ხელისუფლების ნაწილი გადაისინჯოს ხელისუფლების ფუნქციონალური დანაწილების პრინციპის ხელყოფის მიმართულებით, რაც ფრიად შემაშფოთებელია; გარდა იმისა, რომ უგულებელყოფილია სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის მიღწეული შეთანხმების შენარჩუნების საჭიროება, დავიწყებულია საყოველთაოდ აღიარებული [illegible] ლებაც: იქ, სა[illegible] ხელისუფლების დანაწილება, არ არის კონსტიტუციაც.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არასასურველი და მიუღებელია კონსტიტუციური პროცესის განვითარება ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით:

1. კონსტიტუციის ახალი რედაქციის ფორსირებულად მიღება მორიგ უახლეს საპარლამენტო არჩევნებამდე;

2. დადგენილი პროცედურის დარღვევით კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღება და მის საფუძველზე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება;

3. კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე მუშაობის გაგრძელება და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება დღესმოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

4. არჩევნების გადადება კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებამდე.

შექმნილი მდგომარეობიდან ოპტიმალურ გამოსავლად მიგვაჩნია საკონსტიტუციო პროცესის განვითარება „მცირე კონსტიტუციის“ მიღების გზით, რაც გულისხმობს პარლამენტის მიერ რეფერენდუმის გარეშე რამდენიმე ძირითადი კონსტიტუციური კანონის მიღებას, კერძოდ: დეკლარაცია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, კანონი ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ.

დღევანდელ ეტაპზე „მცირე კონსტიტუციის“ მიღება რამდენიმე მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორით იქნებ გამართლებული:

1. მოხერხდება მისი მიღება საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მაინც, რაც გამორიცხავს უვარგისი კანონმდებლობის ბაზაზე არჩევნების ჩატარებას;

2. მოიხსნება არჩევნების გადადების საფუძველი (თუნდაც გაუმართლებელი);

3. მოისპობა არალეგიტიმური ხელისუფლების წარმოშობის შესაძლებლობა;

4. ზემოთჩამოთვლილი კონსტიტუციური კანონების უმრავლესობის მიმართ დამოკიდებულებაში არსებული წინააღმდეგობანი ადვილად დასაძლევი იქნება, ხოლო მმართველობის ფორმის საკითხზე კომპრომისის მიღწევის მეტი შესაძლებლობა იქნება როგორც დროის ფაქტორის, ისე ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გამოც; კერძოდ, უმაყოფილო მხარეს რჩება შესაძლებლობა უახლოეს რამდენიმე წელიწადში „დიდი კონსტიტუ-

დასასრული მე-8 გვ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მემორანდუმი კონსტიტუციურ პროცესთან დაკავშირებით

მეშვიდე გვერდიდან

ციის“ მიღების დროს მიაღწიოს მისთვის მიუღებელი დებულების გადასინჯვას; ეს პოზიციური ფაქტორი ზრდის კომპრომისების მიღწევის შესაძლებლობას სხვა საკითხებზეც და მკირდება ახალი ეროვნული განხეთქილების ალბათობა;

5. თავიდან ავიცილებთ რეფერენდუმს, რომლის ჩატარებაც ხელყოფილი ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა გარემოებების გამო ნაკლებადაა სასურველი;

აქვე დავძენთ: „მცირე კონსტიტუციის“ მიღების პრაქტიკა კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში ცნობილია. ისრაელში დღემდე „მცირე კონსტიტუცია“ მოქმედებს; პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან კი დავიმოწმებთ პოლონეთის მაგალითს. ეს ქვეყანა სოციალისტური სტრუქტურების რღვევის შემდეგ რამდენიმე კონსტიტუციური კანონის მიღებით შემოიფარგლა და „დიდი კონსტიტუციის“ მიღება რამდენიმე წლით გადადო.

გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებად მიაჩნია კონსტიტუციური პროცესის განვითარებაზე საჯარო მსჯელობა და მისი ოპტიმალური გზით წარმართვა. ამის გამო აღნიშნულ საკითხზე ვიწყებთ კონსულტაციებს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, რომლის შემდეგ შევეცდებით მემორანდუმში დასმული საკითხები გავხადოთ პარლამენტის მსჯელობის საგნად.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭო

თბილისი, 1995 წ. 14 თებერვალი

კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს სსსგ „ინფორმატიკას“ თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი

გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.

მსმენელებს საწყისი ცოდნისა და მოთხოვნილების მიხედვით შეუძლიათ შეარჩიონ ცენტრში მოქმედი კურსებიდან მისთვის სასურველი.



სწავლების პერიოდში მსმენელთა განკარგულებაშია IBM–ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები, პროგრამული საშუალებები და მეთოდური ლიტერატურა. კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს.

მისამართი:

იჯავჯავაძის ჩიხი N37 (კომპლექს „მზიურის“ ტერიტორიაზე)

23-53-17 29-48-61

გამოვიდა ინგლისური ენის შემსწავლელთათვის საკითხავი ლიტერატური სერიის — „Easy Reading“, პირველი წიგნი — ჰარპერ ლის „ნუ მოჰკლავ ჯაფარას“. ეს წიგნი, ისევე როგორც მთელი სერია, დიდ დახმარებას გაუწევს ინგლისური ენის შემსწავლელებს. იგივე სერიით უახლოეს მომავალში გამოვა რ.სტივენსონის „განძის კუნძული“ და ა. უაილდის „ზღაპრები“.

კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 1. პირი, რომელიც მალავს თავის ვინაობას 3. დიდი ქართველი პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. 5. ეტრატი. 7. აყალმაყალი, დიბოში. 9. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი. 10. უხუცესთა საბჭო ძვ. საბერძნეთში. 11. ტაბლეტი. 12. ადგილი, სადაც ტარდება ლექცია. 14. მეცნიერი, რომელიც შეისწავლის გარე სამყაროს. 16. საჭურვლის საწყობი. 17. ოსმალეთის პრივილეგირებული ქვეითი ჯარის წარმომადგენელი. 19. საკუთარი ცხოვრების აღწერა. 20. მოკლე სასაცილო მოთხრობა, ამბავი. 22. ქედი საქართველოში. 24. მეხის თავიდან ასაცილებელი მოწყობილობა. 26. ლიტერატორი. 28. ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 29. ოპერის ტექსტი. 30. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. 31. გამიჯვნა. 32. წიგნის, ნაშრომისა და სხვათა მოკლე გადმოცემა. 33. გასაინვრება. 34. შეგუება.

ვერტიკალურად: 1. ზედა სასუნთქი ორგანოების მკურნალობის ერთ-ერთი საშუალება. 2. სათბური. 3. მწერი. 4. რთულყვავილოვანთა ოჯახის მცენარე, მთის ყვავილი. 5. პირობა, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებას. 6. მე-17 ს. ფლამანდიელი ფერმწერი. 7. სასპორტო ნაგებობა. 8.უძველესი ქალაქი პალესტინაში. 13. დიდი ქართველი პოეტი 15. შაბლონი 18. დიდი ინგლისელი დრამატურგი. 20. XX ს. დეკადენტური მიმართულება რუსულ ლიტერატურაში. 21. ბერძნულ მითოლოგიაში აგამემნონისა და კლიტემნესტრას ასული. 22. საკითხთა ერთობლიობა, რასაც ეხება თხრობა. 23. ხელოვნური რწყვის სისტემა. 24. დრამატურგიის ჟანრი. 25. მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა, წარმოთქმის მანერა. 26. სასტამბო ანაბეჭდის გასწორება. 27. პირობითი წერილობითი ნიშანი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 1. ჰერმა 4. მითი 5. თოხი 8. რეკონსტრუქცია 9. პენსნე 10. ავანსი 13. აფრიკატი 15. მარდანია 16. ოდა 17. ანტიგონე 18. ფირდოუსი 21. გუშაგი 22. თაგორი 23. წინასიტყვაობა 24. ჯური 25. ელვა 26. ლენაუ

ვერტიკალურად: 2. ეწიპსისი 3. მოთხრობა 6. ლექსიკოგრაფია 7. წინააღმდეგობა 11. მარაო 12. კაფია 14. ყდა 19. ევრიპიდე 20. მოტყუება

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

მორიგე რედაქტორი ლელა კოდალაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 86447

ფასი 300.000 კუპონი.

ტელეფონები:

რედაქტორი: 93-20-36,

რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99